საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბუტ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

პარასკევი-კვირა, 23-25 აპრილი. 2021 წ. №87-88 (9206-9207) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

„ნაცმოძრაობა“ მხოლოდ მელიას გათავისუფლებაზე ლაპარაკობს, როდესაც ცივილიზებული სამყარო აღიარებს, რომ საქართველოში პოლიტიკური შეთანხმება მოხდა!

ახლა მაინც კარგად დაინახეთ ნაცების ამომრჩევლებო, ვინ არის საქართველოს მთავარი მტერი!

ორესტი (ზაურ) ბედია

აბუჩად აგდებული დევნილთა ბედი

6

ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან.

ილია ჭავჭავაძე

კელი დეგნანიც ნიკა მელიას ამუნათებს!...

20 ივნისის მოვლენები საქართველოს ისტორიაში საკმაოდ მტკივნეული ეპიზოდი იყო, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ წინსვლის გზა იპოვოს, — ამის შესახებ აშშ-ის ელჩმა საქართველოში კელი დეგნანმა განაცხადა.

„შეთანხმების მიღწევა იყო მნიშვნელოვანი, წინ გადადგმული ნაბიჯი. მოგეხსენებათ, პროცესი იყო ხანგრძლივი და რთული. შესაბამისად, პარტიების მხრიდან საჭირო გახდა გამბედაობა იმისთვის, რომ წასულიყვნენ კომპრომისზე. ჩვენ კარგად გვესმის, რომ 20 ივნისის მოვლენები საქართველოს ისტორიაში საკმაოდ მტკივნეული ეპიზოდი იყო, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ იპოვოს წინსვლის გზა, გზა, რომ გაგრძელდეს პოლიტიკური ცხოვრება და სწორედ ამას ემსახურებოდა ეს შეთანხმება და ამნისტიის კანონპროექტიც.

რაც შეეხება ნიკა მელიას, ცხადია, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა. შეთანხმება მისი გათავისუფლების სხვადასხვა გზას გულისხმობს. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ უნდა შეძლოს რეაგირება მის წინაშე მდგარ უდიდეს გამოწვევებზე. ეს იქნება კოვიდთან დაკავშირებული ვითარება, ეკონომიკური სიტუაცია და მრავალი სხვა“, — განაცხადა კელი დეგნანმა.

თბილისში კორონავირუსი 204 ათასმა ადამიანმა ისე გადაიტანა, რომ თვითონაც არ იცოდა!

თბილისის ზრდასრული მოსახლეობის მესამედზე მეტს, 35,5 პროცენტს კორონავირუსი გადატანილი აქვს. მათგან მხოლოდ მესამედმა იცის, ლაბორატორიულად დადასტურებულად, რომ კორონავირუსი გადატანილი აქვს. კვლევის შედეგები რადიო თავისუფლებას თენგიზ ცერცვაძემ გააცნო.

მისი თქმით, თბილისის მასშტაბით, შემთხვევითი შერჩევით, მარტში 903 ისეთი პირი შეარჩიეს, რომელსაც ლაბორატორიულად კორონავირუსი დადასტურებული არ ჰქონდა. მათგან 215 პირს IGG ანტისხეულები — იმუნური ფენა აღმოაჩნდა. 903 პირის შედეგები, რადგან ის წარმომადგენლობითი იყო, თბილისის მოსახლეობაზე — 859 ათას ადამიანზე განაზოგადეს.

თბილისში, კვლევის შედგების მიხედვით:

- **კორონავირუსი 305 ათასმა ადამიანმა გადაიტანა;**
- **ვირუსი ოფიციალურად დაუდასტურდა 100 ათასზე მეტ პირს;**
- **კოვიდი რომ გადაიტანა, არ იცოდა 204,5 ათასზე მეტმა პირმა.**

„ეს ნაწილი შეადგენს იმუნურ ფენას ანუ აქვთ იმუნიტეტი კოვიდის მიმართ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველას, ვინც ვირუსი გადაიტანა, არ ჰქონდეს ასეთი იმუნიტეტი, მაგრამ ასეთი პირების რაოდენობა მცირეა და ვერ ახდენს გავლენას საერთო სტატისტიკაზე“, — თქვა ცერცვაძემ.

მისი თქმით, იმის მიუხედავად, რომ კოვიდგადატანილი მოსახლეობის 2/3-მა არ იცის, რომ ვირუსი ჰქონდა, მათ ვაქცინის გაკეთება შეუძლიათ. დაყოვნების პერიოდი, რომელიც ქვეყანაში არსებობს (გამოჯანმრთელებიდან 120 დღე), მხოლოდ იმის გამოა დაწესებული, რომ ვაქცინა იმ პირებს შეხვდეთ, რომელსაც ამ ეტაპზე იმუნიტეტი არ აქვთ. 2020 წლის 26 თებერვლიდან, როცა საქართველოში კორონავირუსით ინფიცირების პირველი ფაქტი დადასტურდა, სულ აღრიცხულია **299 038** შემთხვევა. მათგან **282 869** გამოჯანმრთელების. COVID-19-ით გარდაცვლილია **3971** ადამიანი.

ევროკავშირი კომპანია „ასტრაზენეკას“ წინააღმდეგ

ევროკავშირი „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის მწარმოებელი კომპანია „ასტრაზენეკას“ წინააღმდეგ სასამართლო სარჩელს ამზადებს. ბრიუსელი დავის დაწყებას კვირის ბოლოსთვის გეგმავს. სასამართლო დავა კონკრეტულ ვადებში ევროგაერთიანებისთვის დაპირებული დოზების დეფიციტურ მიწოდებას უკავშირდება.

აღნიშნული საკითხი, რომელსაც ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა სჭირდება, ელჩების მიერ რამდენიმე კვირის განმავლობაში განიხილებოდა. ბრიუსელი დიპლომატიური წყაროს ინფორმაციით, სამართლებრივ პროცესში რამდენიმე ქვეყნის მთავრობა სრულად ჩართული არ არის. პროცედურებს ხუთიდან შვიდ კვირამდე დასჭირდება და ევროკომისია დედაქალაქებს მოუწოდებს შეუერთდნენ პროცესს.



კომპანია „ასტრაზენეკამ“ პირველ კვარტალში ევროკავშირს 120 მილიონი დოზა ვაქცინის ნაცვლად, მხოლოდ 30 მილიონი დოზა მიაწოდა.

რამდენი დეპუტატი იმუშავებს პარლამენტში?!

ბოლო მონაცემებით, 27 აპრილიდან საპარლამენტო ცხოვრებაში კიდევ 18 ოპოზიციონერი ჩაერთვება. როგორც შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმომწერი ოპოზიციონერები ამბობენ, ამით მეათე მოწვევის საკანონმდებლო ორგანოში ახალი ეტაპი დაიწყება.

პარლამენტში მუშაობის ვალდებულება აიღო „სტრატეგია აღმაშენებლის“ სამმა დეპუტატმა, უარს ამ ბლოკიდან მხოლოდ თაკო ჩარკვიანი ამბობს. **სადეპუტატო უფლებამოსილების შესრულებას შეუდგება „ლელო“ 4 დეპუტატი, „რესპუბლიკური პარტია“ 2 წევრით, ყოფილ თანაგუნდელებს ზურაბ ჯაფარიძე დაემატება და საკანონმდებლო ორგანოში „გირჩის“ 3 და „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ 1 წარმომადგენელი იმუშავებს.**

ამ დროისთვის ყველაზე მეტი ცარიელი სკამი ისევ მიხეილ სააკაშვილის გუნდის ადგილას იქნება, დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით პარლამენტში მუშაობისთვის მზად არიან „ნაციონალური მოძრაობიდან“ წასულები – გრიგოლ ვაშაძე და სალომე სამადაშვილი. „ევროპული საქართველოს“ საარჩევნო სიით გასული 5 წევრიდან კი ევროპულ შეთავაზებას, მხოლოდ 3 დათანხმდა. შედეგად, პარლამენტში ახლა 117 დეპუტატი იკრიბება.

პრეზიდენტი გიორგი რურუას შეწყალების თარიღს აზუსტებს

„საქართველოს პრეზიდენტის 19 აპრილის განცხადებაში აღნიშნულია:

იმისთვის, რომ ქვეყანა და პარლამენტი ნორმალურ პოლიტიკურ რეჟიმს შეუდგეს და გამოწვევებს გაუმკლავდეს, პრეზიდენტმა გარკვეული პირობებით შეწყალების გადაწყვეტილება მიიღო.

იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა – მმართველმა პარტიამ და ოპოზიციამ, შეთანხმებას მიაღწიეს, რაც ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა და ასევე აშშ-ის ელჩმა დაადასტურა, ამგვარად პირველი პირობა შესრულებულია. რაც შეეხება მეორე პირობას, პოლიტიკურმა პარტიებმა საჯაროდ მოაწერეს ხელი საბოლოო შეთანხმების დოკუმენტს და მათი პარლამენტში შესვლა 27 აპრილს, პლენარულ სხდომაზე იგეგმება. ეს ნიშნავს, რომ განცხადების შესაბამისად, ერთი კვირის ვადაში შესრულდება მეორე პირობაც. მაშასადამე, იმ დღესვე გამოიცემა პრეზიდენტის შეწყალების აქტი“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

ალეკო ელისაშვილი: „ნაციონალური მოძრაობა“ რჩება მავნებელ პოლიტიკურ ძალად!

„ნაციონალური მოძრაობა“ იყო და რჩება მავნებელ პოლიტიკურ ძალად, რომელსაც ქვეყანა და ხალხი არ ადარდებს. ეს გაჯიუტებაც ამის დასტურია, – ასე შეაფასა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა ის ფაქტი, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიშელის ახალ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. მისივე თქმით, მათ არც ქვეყნის და არც ხალხის პრობლემები არ ადარდებთ.

„მათ მხოლოდ ძალაუფლებაში დაბრუნება სწყურიათ, მეტი არაფერი უნდათ. არც ამ ქვეყნის და არც ხალხის პრობლემები არ ადარდებთ. პროცესში მთელი მსოფლიო ჩარეულია, შეგვათანხმეს და იმის ნაცვლად, რომ ხალხზე ვიფიქროთ, კიდევ უაზრო გაჯიუტება მიდის. ეს არის მათი მავნებლობის მანიშნებელი და დამადასტურებელი. აბა, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოიკითხოს ბენზინის ფასი რა გახდა? – ეს მათ შორის კრიზისის ბრალია და იმის, რომ ექვსი თვეა, ვსაუბრობთ გირაოზე, შესვლა-არშესვლაზე“, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

უკრაინაში საქართველოს ელჩი კიევში დაბრუნდა

უკრაინაში საქართველოს ელჩი, თეიმურაზ შარაშენიძე კიევში დაბრუნდა, – ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის საგარეო უწყების პრესსამსახური ავრცელებს.

„ეს უკრაინისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის 15 აპრილს შემდგარი სატელეფონო საუბრისას მიღწეული შეთანხმების შედეგია“, – აღნიშნავენ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში. უკრაინის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ საქართველოს ელჩი კიევში 21 აპრილს ჩავიდა და უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ვასილ ბოდნარს შეხვდა. შეხვედრის დროს მხარეებმა დაადასტურეს მზაობა, გააააქტიურონ უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობების განვითარება. ვასილი ბოდნარმა საქართველოს ელჩს ინფორმაცია მიაწოდა უკრაინის ირგვლივ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების მდგომარეობაზე.

ევროკავშირის საჩუქარი

ევროკავშირმა შსს-ს **საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს, ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისა და ეფექტური გამოძიების ხელშეწყობის მიზნით, ლაბორატორიული აღჭურვილობა გადასცა,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა ავრცელებს.

წარმომადგენლობის განცხადებით, 246,000 USD-ის ღირებულების ქრომატოგრაფ/მას-სპექტრომეტრის (**GC-MS**) სისტემა ხელს შეუწყობს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალისტიკურ დეპარტამენტს სპეციალური კვლევების ჩატარებასა და დანაშაულის ეფექტურ გამოძიებაში. გადაცემის ცერემონიას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზი, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის განყოფილების უფროსი, სიგრიდ ბრეტელი და შს სამინისტროს, ევროდელეგაციისა და UNOPS-ის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებულია

გუშინ საქართველოსა და უკრაინას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, იგეგმება ქვეყნებს შორის საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვის ნებართვების გაცვლა, სატრანსპორტო პროცედურების კონტროლის გამარტივება და საერთაშორისო საავტომობილო გადაზიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო სისტემების გამოყენებით.

მემორანდუმს ხელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ – გურამ გურამიშვილმა და უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ – დმიტრო აბრამოვიჩმა მოაწერეს. ღონისძიებას საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი, დავით ფერაძე დაესწრო. შეხვედრაზე მხარეებმა ინოვაციური ციფრული ტექნოლოგიების და საინფორმაციო სისტემების საავტომობილო გადაზიდვებში დანერგვის პროცესებში თანამშრომლობასა და ეტაპობრივად დღეისათვის არსებული ქაღალდის ნებართვების და მათი ხელით კონტროლის სისტემის სრულად ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე ისაუბრეს. მხარეებმა ასევე ორ ქვეყანას შორის საბორნე და საფიდერო გემების რეგულარული მიმოსვლა განიხილეს.



გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო: რუსეთი საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში აგრესიულ კონტროლს ახორციელებს

საქართველოს ოთხი მოქალაქე მდინარე ენგურში მაშინ დაიხრჩო, როცა ოკუპირებული გალის რაიონიდან ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსვლას შეეცადნენ. ეს ადამიანები რუსი ოკუპანტებისგან თავის დაღწევას ცდილობდნენ. ორი დაღუპული ქალი და ერთი მამაკაცი სოფელ წარჩეში მცხოვრები ერთი ოჯახის წევრები არიან. მომხდარმა ტრაგედიამ მთელი საქართველო შეძრა. 2017 წლის შემდეგ მდინარე ენგურზე გამავალი ხიდი ერთადერთი გზაა, რომლითაც რიგითი მოქალაქეები აფხაზეთიდან საოკუპაციო ხაზს კვეთენ. მანამდე, სულ მცირე, 6 ე.წ. გამშვები პუნქტი არსებობდა, თუმცა, რუსეთმა მათი რაოდენობა ერთამდე შეამცირა. გალის რაიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკური ქართველები არიან და ქართულ მხარესთან მჭიდრო კონტაქტს ინარჩუნებენ. მათ შორის, ბევრი ქართულ პენსიასაც იღებს და ფულის მისაღებად ზუგდიდში უწევს ჩამოსვლა.

შემზარავ ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ დაწესებული შეზღუდვები ადამიანების დაღუპვის მიზეზად პირდაპირ დაასახელა: **„ე.წ. გამშვები პუნქტების ხანგრძლივმა ჩაკეტვამ და გადაადგილების თავისუფლებაზე დაწესებულმა შეზღუდვებმა, ხელი შეუწყო სიკვდილიანობის ზრდას და კიდევ უფრო გააუარესა ჰუმანიტარული და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია პანდემიის პირობებში.“**

24 მარტს საბჭომ რეზოლუცია სახელწოდებით – „თანამშრომლობა საქართველოსთან“ მიიღო, სადაც ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული სიტუაციის გაუარესებაზეა საუბარი. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ ადგილზე ეფექტურ კონტროლს რუსეთი ახორციელებს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტის, დავით ზალკალიანის განცხადებით, საბჭომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ 2008 წლის აგვისტოს ომის საქმეზე იანვარში გამოტანილი გადაწყვეტილება გაითვალისწინა. ზალკალიანი აცხადებს, რომ გაეროს საბჭომ **„პირველად აღნიშნა, რომ რუსეთი აგრესიულ კონტროლს ახორციელებს ორ ოკუპირებულ რეგიონში.“**

რეზოლუცია – „თანამშრომლობა საქართველოსთან“ ე.წ. ბორდერიზაციის პროცესის უკანონობაზეც ამახვილებს ყურადღებას. ადამიანის უფლებათა დამცველები რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აღმართვასთან დაკავშირებით შეშფოთებას გამოხატავენ. ეთნიკური ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინაცია, სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების დარღვევა, უკანონო გატაცებები საოკუპაციო ხაზის გასწვრივ, ქართულ ენაზე განათლების მიღებაზე დაწესებული შეზღუდვები და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნასახლარების განადგურება იმ დაუსრულებელი დანაშაულებების ნაწილია, რის გამოც უფლებადამცველები რუსეთისკენ მუდმივად იშვერენ თითს.

გაეროს საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ დევნილებს კვლავაც ჩამორთმეული აქვთ აფხაზეთსა და ცხინვალში საკუთარ სახლებში საერთაშორისო სამართლით მინიჭებული დაბრუნების უფლება. ადამიანის უფლებათა საბჭოს რეზოლუციაში ნათქვამია, რომ 2014 წლიდან 2019 წლამდე ეთნიკური ქართველების მკვლელობებისთვის პასუხისგებაში არავინ მიუციათ, რაც ოკუპირებულ რეგიონებში დაუსჯელობის განცდას უწყობს ხელს. საბჭომ რუსეთს უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლების ოკუპირებულ ტერიტორიებზე შეშვება კიდევ ერთხელ მოსთხოვა, თუმცა, კრემლს ორივე რეგიონი სრულად იზოლირებული აქვს და საერთაშორისო დამკვირვებლებს ახლოსაც კი არ უშვებს.

ნოდარ ზეშელიძე



მანამ არ აგიდგეთ გვერდები, სანამ მე ქვენ გამოსასყიდს გადაგიხდით!

ნიკა მელია პარლამენტს ემუქრება

ნიკა მელია „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტს ეხმაურება. შესაბამისი განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ Facebook-ზე გამოაქვეყნა.

„20 ივნისის ამნისტია დაუშვებელია, ისტორიის გადაწერის უფლებას არ მოგცემთ“, – წერს მელია.

ახლა მაინც კარგად დაინახეთ ნაცების ამომრჩევლებო, ვინ არის საქართველოს მთავარი მტერი!

ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, **შარლ მიშელის** ახალ დოკუმენტში **ნიკა მელიასა** და **გიორგი რურუას** გათავისუფლების საკითხიც შეტანილია, თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია, თუ რა მექანიზმით მოხდება ეს – ამნისტიით თუ გირაოს გადახდით, რაზეც, მაგალითად, ნიკა მელია კვლავ კატეგორიულ უარს აცხადებს.

„ნაციონალური მოძრაობა“ კი დოკუმენტზე ხელმომწერებს გაეგზავნა და ხელის მოწერაზე უარი თქვა. პარტიაში ამბობენ, რომ სანამ „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე გარეთ არ იქნება, დოკუმენტს ხელს არ მოაწერენ. თანაც, აღნიშნავენ, რომ თავად ნიკა მელიამ უნდა გადაწყვიტოს, პარტია ხელს მოაწერს თუ არა მიშელის ახალ დოკუმენტს.

ნიკა მელიამ სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან „ქართულ ოცნებას“ მიმართა:

„მანამ არ აგიდგეთ გვერდები, სანამ მე თქვენ გამოსასყიდს გადაგიხდით. 17:55 სთ. რუსთავის ციხე“, – წერს ნიკა მელია.

რა ხერხითა და მექანიზმით შეიძლება მოხდეს „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის ციხიდან გამოშვება?

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატმა **გურამ მაჭარაშვილმა** თქვა, ამნისტიის კანონზე პარლამენტი მას შემდეგ იმსჯელებს, რაც 113 დეპუტატი საკანონმდებლო ორგანოში თავს მოიყრის. მისივე თქმით, „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს ვითარების პროვოცირებას და სწორედ ამით ხსნის იმას, რომ ოპოზიციურმა პარტიამ მიშელის დოკუმენტს ხელი არ მოაწერა.

„დოკუმენტში პირდაპირ არ წერია უპირობოდ გათავისუფლებაზე. ზოგადად, მთავარი არის ის, რომ ეს შეთანხმება შედგა, არა მხოლოდ ამნისტიის შესახებ კანონზე, ბევრ სხვა საკანონმდებლო ინიციატივაზე და წინადადებაზე. აუცილებლად ვიმსჯელებთ, როგორც კი შემოვა საქართველოს პარლამენტში ოპოზიციის ის დეპუტატები, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაიწყებენ მუშაობას. დეტალებში პრობლემები ნაკლებად იქნება, მთავარია, რომ პრინციპზე შეთანხმება მოხდა, ამის შემდეგ კონსულტაციების საფუძველზე მოვახდენთ ოპოზიციასთან ერთად, ყველა იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც მოცემულია.

გასაგებია, რატომ სურს „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც ხან ეთანხმება და ხან არა ამ შეთანხმებას, დეტალებში ეძებოს პრობლემები, მაგრამ ეს ასე არ არის. ამ წინადადებების განხილვას ოპოზიციის წევრებთან ერთად, რომლებიც პარლამენტში შემოვლენ, აუცილებლად დავიწყებთ. „ნაციონალური მოძრაობის“ ნება აქაც ჩანს, მხოლოდ თავისი პარტიის თავმჯდომარის, ნიკა მელიას გათავისუფლებაზე აპელირებს ამ შეთანხმებაში, მაშინ როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო აღიარებს, რომ ეს პოლიტიკური შეთანხმება მოხდა საქართველოში და ეს არის კარგი, რომ პოლიტიკური პროცესი კიდევ უფრო ჯანსაღად წარიმართოს.

„ნაციონალურ მოძრაობას“ მთავარ საკითხად მიაჩნია ნიკა მელიას გამოშვება, რომელსაც თვითონ არ უშვებენ. ჩვენ რამდენადაც გვაქვს ინფორმაცია და ითქვა უკვე ჩვენი ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მიერ, მინიმუმ საკონსტიტუციო უმრავლესობის წევრები, როდესაც პარლამენტში იქნებიან, ანუ 113 და მეტი დეპუტატი, დაიწყებენ იმ წინადადებებზე მუშაობას, რომელიც არის წარმოდგენილი.

„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის, **გიორგი ვაშაძის** განცხადებით, ნიკა მელია პენიტენციურ დაწესებულებას ან გირაოს სანაცვლოდ, ან ამნისტიით დატოვებს. მისივე თქმით, ევროპული მხარე მზად არის, ნიკა მელიას გირაო გადაიხადოს.

„საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, განვითარებული ადამიანების ქვეყანა, ძლიერი ოჯახებით და ძლიერი ადამიანებით. ბატონი შარლ მიშელის ჩამოსვლის შემდგომ, იმედი მაქვს, გულწრფელად გეტყვით, რომ ის, ვინც ხელს არ აწერს დოკუმენტს, ბოლოს და ბოლოს, ისიც ხელს მოაწერს ამ დოკუმენტს და ყველა გავერთიანდებით ამ საერთო საქმეში. ნიკა მელია გამოვა, ან გირაოთი, რომელზეც მზად არის ევროპული მხარე, რომ გადაიხადოს და მე ვფიქრობ, ეს ძალიან მაგარი შესაძლებლობაა, ძალიან სერიოზული ჟესტია, ან მეორე ვარიანტია – ეს შეიძლება იყოს ამნისტია“, – განაცხადა ვაშაძემ.

სახალხო დამცველის, **ნინო ლომჯარიას** თქმით, ნიკა მელიას გათავისუფლება სხვადასხვა ფორმით შეიძლება, მათ შორის პროკურატურის რამდენიმე გადაწყვეტილებით. ამასთან, ლომჯარიამ ისაუბრა ამნისტიის აქტთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, ამ საკითხზე მას აქვს შეკითხვები, შეეხება თუ არა ეს აქტი იმ ადამიანებს, ვინც 20 ივნისის აქციაზე არადამიანურ მოპყრობაში არიან ბრალდებულები.

„ძალიან ბევრი ფორმით შეიძლება გათავისუფლდეს (მელია), თავად პროკურატურას შეუძლია ეს გადაწყვეტილება მიიღოს, ნებისმიერი სახის გადაწყვეტილება შეუძლია მიიღოს. შეუძლია გირაოს გარეშეც დატოვოს, შეუძლია ის მუხლიც გამოიყენოს, რაზეც ჩემი მოადგილეც საუბრობდა, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის 70-ე მუხლი და საერთოდ შეწყვიტოს დევნა შეცვლილი გარემოებების და ახალი საჭიროებების გამო. ბევრი ვარიანტი არსებობს“, – განაცხადა ლომჯარიამ და დასძინა: **„გააჩნია რა პუნქტებს შეეხება (ამნისტიის აქტი), მე წინასწარ არ გავაკეთებ (შეფასებას). თუ შეეხება იმ მუხლებს, რომლითაც რეგულირდება არასათანადო მოპყრობისგან დაცვის საკითხები, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაში იქნება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკასთან, თუმცა წინასწარ შეფასებას არ გავაკეთებ, მე არ ვიცი რა ტიპის ამნისტიის აქტის მიღება იგეგმება“,** – თქვა ლომჯარიამ.

„ნაცმოძრაობა“ მხოლოდ მელიას გათავისუფლებაზე ლაპარაკობს, როდესაც ცივილიზებული სამყარო აღიარებს, რომ საქართველოში პოლიტიკური შეთანხმება მოხდა!

ნიკო ჩოხელი

ლადო კახაძე: რას ნიშნავს, პოლიტიკური გადაწყვეტილება მივიღოთ სასამართლო ხელისუფლების ჩართულობით?!



„საქართველოში პოლიტპატიმრები არ არსებობენ, მათ აქვთ სისხლის სამართლის დანაშაული ჩადენილი ქვეყნის წინაშე. მომხრე ვარ ისეთი პრინციპის, სადაც კანონმდებელი თავის საქმეს აკეთებს, აღმასრულებელი და სასამართლო კი – თავისას“, – ასე აფასებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი **ლადო კახაძე** ევროპული საბჭოს პრეზიდენტის, **შარლ მიშელის** მიერ წარმოდგენილ ახალი დოკუმენტის შინაარსს, რომელსაც 19 აპრილს, პრეზიდენტის სასახლეში მმართველმა გუნდმა და ოპოზიციური პარტიების ნაწილმა ხელი უკვე მოაწერეს.

– ოპოზიციასა და ფასილიტატორ ელჩებს შორის 18 აპრილს შემდგარი შეხვედრის შემდეგ, ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა, რომ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა, შარლ მიშელმა მხარეებს ახალი დოკუმენტი წარუდგინა, სადაც ნიკა მელიასა და გიორგი რურუას გათავისუფლების საკითხიც არის შეტანილი. უშუალოდ ამ პუნქტზე რა აზრის ხართ, ბატონო ლადო?

– სასამართლო ხელისუფლის დამოუკიდებლობას ვსწავლობთ ახლა. ძალიან რთული პროცესია, მაგრამ როდესაც მიგვითითებენ, რომ მიიღეთ პოლიტიკური გადაწყვეტილება დამნაშავეების გამოსაშვებად, ეს ჩემთვის, როგორც ერთი ადამიანისთვის, მიუღებელი იყო! რას ნიშნავს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მივიღოთ სასამართლო ხელისუფლის ჩართულობით?! – თვითონ მოგცვენ განმარტება, როგორ უნდა იყოს ფორმულირება ამ მდგომარეობიდან ისეთი, რომ არ დაზიანდეს ძირითადი პრინციპი სახელისუფლებო შტოების ერთმანეთში ჩაურევლობის თაობაზე.

როდესაც პოლიტიკურ ბრძოლაში ხარ და დოკუმენტზე, რომელზედაც ორი დღის წინ ხელი მოვაწერეთ, ორი დღის შემდეგ შედის ცვლილებები, ეს, ალბათ, პოლიტიკური სურვილია, რომ როგორც მმართველმა ძალამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ავიღოთ და ასეც მოვიქეცით – თანხმობა განვაცხადეთ იმაზეც, რაც წინა დოკუმენტში არ იყო.

– მელიასა და რურუას გათავისუფლების საკითხზე რას ფიქრობთ? თქვენ პირადად როგორ, რა მექანიზმით გესახებათ მათი გათავისუფლება?

– მე მოვისმინე ძალიან გამართული შეთავაზება და მიხარია, რომ მხარი დავუჭირე სალომეს პრეზიდენტობას. დღეს მე მოვისმინე ზეპარტიული პრეზიდენტის განცხადება, რომელიც ერთერთ გზას გვთავაზობს. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, გიორგი რურუას შეწყალების საკითხზე მისი გადაწყვეტილება განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც „პარტიები ხელს მოაწერენ საბოლოო დოკუმენტს და შევლენ პარლამენტში და მეორე მხრივ, ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლები გამოაცხადებენ, რომ შეთანხმება შედგა“.

– შარლ მიშელის ახალი დოკუმენტისა და შინაარსის შესახებ თქვენც მხოლოდ 18 აპრილს შეიტყვეთ?

– პოლიტსაბჭოს წევრი არ ვარ, ვეცნობი გამოქვეყნებულ მასალას, მეტი სხვა წვდომა მე არ მაქვს.

– დოკუმენტის თანახმად, თუ „ქართული ოცნება“ თვითმმართველობის არჩევნებში 43%-ზე ნაკლებს აიღებს, მმართველი გუნდი ვადამდელი არჩევნების დანიშვნის ვალდებულებას იღებს, რამდენად მისაღებია ეს დათქმა თქვენთვის?

– ვის ხმასაც ჩვენ წარმოვადგენთ, ეს მილიონზე მეტი ადამიანია და ასეთი მხარდაჭერის პირობებში არც ერთი არჩევნები საშიშროება არ გახლავთ. ადგილობრივი ხელისუფლებისთვის ნდობის გამოცხადების პირობებში „ქართული ოცნება“ 50%-ს აიღებს.

– გამოითქვა მოსაზრება, რომ მთავრობის ყოფილი მეთაურის, გიორგი გახარიას ახალი პარტიის პირობებში „ქართულ ოცნებას“ გაუჭირდება 43%-ის აღება...

– საღ კონკურენციას მივესალმები – აჰა, ბურთი და აჰა მოედანი... როგორ შემიძლია, ვინმე ვაძაგო ან ვინმე გადაჭარბებულად ვაქო? – არავითარ შემთხვევაში. მე ყველა ოპონენტს ვაფასებ მისი ღირებულებიდან გამომდინარე და მინდა ღირსეულ ადამიანს მოვუგო. სხვა შემთხვევაში, ცუდს რომ მოუგებ, ამით არაფერი მოგემატება, კარგს უნდა მოუგო.

– როგორია დღეს გიორგი გახარიას რეიტინგი?

– რეიტინგი პირობითი ცნებაა. სოციუმი არის მკაცრი, რაღაც ღირებულბების დაცვის კუთხით და მას შეუძლია ზედაპირი სიღრმისაგან გაარჩიოს. ზოგჯერ არის, რომ მოვლენები ძალიან კარგად ლაპლაპებენ... პოლიტიკური პროცესი დინამიურია, რომელიც გარკვეულწილად წიაღსვლებს მოითხოვს და ეს გამოჩნდება.

ესაუბრა
ნიკო ჩოხელი

რამაზ თავართქილაძე

სამამულო სოფლის მეურნეობისთვის გამორჩეულ დარგთა ჩამონათვალში მეფუტკრეობას განსაკუთრებული ადგილი რომ უკავია, დიდი ხანია ცნობილია: კავკასიურ რუხ ფუტკარს ხომ მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს. მით უფრო საგანგაშოა და პრობლემის სასწრაფოდ გადასაჭრელად აუცილებლად საგანგებო სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებას მოითხოვს მეფუტკრეობაში სადღეისოდ შექმნილი მეტად მძიმე მდგომარეობა, რისი მიზეზი ისაა, რომ ბოლო თვეებში საქართველოს მასშტაბით საფუტკრეებში მწერთა დაახლოებით 65-75 პროცენტი განადგურდა (ამას სპეციალისტები „ფუტკრის დაცემას“ უწოდებენ), რაც თითქმის 200 ათასი სკა (ოჯახ) ფუტკარს შეადგენს.

შექმნილი ვითარების წარმოშობის მიზეზებსა და დარგის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის გზების შესახებ სასაუბროდ ცნობილ სპეციალისტს, აპიმონდიის (მეფუტკრეთა მსოფლიო ორგანიზაციის) წევრის საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის თავმჯდომარეს, აკადემიკოს რამაზ თავართქილაძეს ვეწვიეთ.

ფუტკრის დაცემა საქართველოში: „უზამთრო“ ზამთრის მძიმე შედეგი

— მაინც რა გახდა ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს მეფუტკრეობის წამყვან რეგიონებში — აჭარაში, გურიაში, სამეგრელოში, ნაწილობრივ იმერეთსა და კახეთში ფუტკრის მასობრივი დახოცვის მიზეზი?

— ფუტკრის ამჟამინდელ დაცემას ორი უმთავრესი მიზეზი აქვს, მათ შორის უმთავრესია **მწერთა გამოზამთრების უაღრესად არახელსაყრელი პირობები.** სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნო, რომ ამაში ბრალი კონკრეტულად არავის მიუძღვის — „დამნაშავეა“ კლიმატური პირობები. საქმე ისაა, რომ დასავლეთ საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე, სადაც მეფუტკრეობა უფროა განვითარებული, შემოდგომის მიწურულისა და ზამთრის თვეებში, წლის ამ დროისთვის შეუსაბამოდ თბილი ამინდები იყო, რის გამოც ფუტკარი, რომელსაც წესითა და რიგით ცივი დრო ანაბიოზში უნდა გაეტარებინა, სითბომ გარეთ გამოიწყუა, რამაც მისი ცვთომა გამოიწვია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი სკაში გამოზამთრების შემთხვევაში მუშა ფუტკრის თაობას დაახლოებით შვიდი თვე უნდა ეცოცხლა, ეს ვადა საგრძნობლად — ორ-სამ თვემდე - შეუმცირდა, თუმცა სხვა მხრივ მწერები სავსებით ჯანმრთელნი იყვნენ. წლევანდელი ზამთარი დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში აგერ თითქმის თებერვალში დაიწყო. მერე კი, მას შემდეგ, რაც დედა-ფუტკრებმა კვერცხის დება დაიწყეს, სიცივეებმა დაჰკრეს, სკების უმეტეს ნაწილში ფუტკრის რიცხოვნობის შემცირების გამო სითბური ბალანსის შენარჩუნება ვეღარ მოხერხდა და ის თაობა, რომელიც საგაზაფხულო ღალაზე უნდა გამოსულიყო, დაიხოცა.

სწორედ ეს გახდა დასავლეთ საქართველოს უმეტესობა მხარეში ფუტკრის ოჯახების დაცემის უმთავრესი მიზეზი.

ამასთანავე, საქართველოში ფუტკრის პოპულაციის ბოლოდროინდელი შემცირების მეორე სერიოზული მიზეზია — **ვარუას ტკიპის** გავრცელება, რომელიც ორ ათეულამდე ვირუსის გადამტანია. ის ფუტკრის ჭუპრთან ერთად უჯრედში სახლობს და მრავლდება, რომელსაც კბენს და სითხეს სწოვს, რის გამოც ეს უკანასკნელი ვეღარ ვითარდება, სიცოცხლის უნარს კარგავს და, იხოცება თუ არა მეფუტკრემ ის სკას მაინც უნდა მოაცილოს.

დღესდღეობით დაუდგენელია ტკიპის ასე მასობრივად გამრავლების მიზეზები, თანაც მის საწინააღმდეგოდ ადრე გამოყენებული პრეპარატებისადმი გამომუშავდა იმუნიტეტი. ამასთან ყველა მეფუტკრე მას საკუთარი მეთოდებით და სხვადასხვა პრეპარატებით ებრძვის, რასაც, სამწუხაროდ, სასურველი შედეგი არ მოაქვს.

— თქვენი აზრით, შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან რა გამოსავალი არსებობს?

— ტკიპასთან და ფუტკრის სხვა მავნებლებთან ეფექტური ბრძოლისთვის აუცილებლად საჭიროა სერტიფიცირებული პრეპარატებისა და სათანადოდ აპრობირებული მეთოდების გამოყენება, რაც, უწინარესად, ვეტერინარიული სამსახურის პირდაპირი მოვალეობაა, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენში დიდი ხანია აღარაა სათანადო სიმაღლეზე... ასეთი სამსახური ჩვენში კი არსებობს — სტრუქტურულად ის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სურსათის უვნებლობის სააგენტოს დეპარტამენტს წარმოადგენს, მაგრამ საქმეს ეს დიდად ვერ შველის, რადგანაც იქ მომუშავე დაახლოებით ორი ასეული სპეციალისტი... თბილისშია თავმოყრილი, ქვეყნის მეფუტკრეობის განვითარების მხარეებში კი ასეთები, ფატობრივად, არ არიან!

ამდენად, საქართველოში არათუ მეფუტკრეობის გასავითარებლად, ახლა უკვე გადასარჩენად აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით სასწრაფოდ შეიქმნას სათანადო ვეტერინარიული სამსახური, რომლის გარეშეც დარგი უკიდურესი დეგრადაციისთვისაა განწირული! ვეტერინარიული სამსახური მეფუტკრეობისთვის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური და ინფექციური სამსახურები მედიცინაში, რაც თუნდაც კოვიდ-პანდემიამ თვალნათლივ დაგვანახა!

— როგორი უნდა იყოს შექმნილი ვითარების გამოსაკეთებლად საჭირო ღონისძიებები, რა პერსპექტივა აქვს ფუტკრის ტკიპასთან ბრძოლას?

— თუკი ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდა, როგორც დღესდღეობით ხდება, თუკი მეფუტკრეობის დარგში სათანადო ვეტერინარიული სამსახურის ფართო სისტემა არ შეიქმნა, დარგს კოლაფსი ემუქრება. ამას უაღრესად საშიში, შეიძლება ითქვას, კატასტროფული შედეგი მოჰყვება მთლიანად ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვის. ამის მიზეზი კი ბუნებაში მცენარეთა უმთავრესი დამმტვერიანებლის — ფუტკრის — ფაქტობრივი მოსპობა იქნება, რის გარეშე საყოველთაო მოუსავლიანობა გველის, რაც მოსახლეობას შიმშილის საფრთხის წინაშე დაყენებს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს არა მხოლოდ საქართველოს პრობლემაა — ამ საშიშროების წინაშე ასევე ერთიანად მსოფლიოს მეფუტკრეობის მოწინავე ქვეყნები — აშშ, საფრანგეთი, ინგლისი და სხვები დგანან: ფუტკრის არსებობას ბევრგან საფრთხე ემუქრება!

— მაინც როგორ უმკლავდებიან საზღვარგარეთ არსებულ საფრთხეებს?

— ვიდრე უშუალოდ ამ კითხვაზე გიპასუხებდეთ, გეტყვით, რომ, მაგალითად, ჩინეთში, სადაც ზოგიერთ რეგიონში ფუტკარი სრულიად ამოწყდა, ზოგან მცენარეთა დამტვერიანება და, მაშასადამე, მომავალ მოსავალზე ზრუნვა... ხელითაც კი დაიწყეს(!) გარდა ამისა, ამ მიზნისთვის ამთავითვე ხელოვნურ მწერებსაც კი ქმნიან!

საიმისოდ, რომ მეფუტკრეობა ვითარდებოდეს და მისი პროდუქცია — თაფლი, დინდგელი (ფუტკრის შხამი), სხვა კვლავაც იწარმოებოდეს, მსოფლიოში დარგის წამყვანი ქვეყნები ძალღონესა და სახსრებს არ იშურებენ: ღალიანობის პერიოდში საფუტკრეები ერთიდან მეორე ადგილზე ათასობით კილომეტრის მოშორებით გადაჰყავთ! თითოეულ სკაზე (ოჯახზე) კი საფუტკრეს მეპატრონე სეზონში ასამდე დოლარს იხდის!

— რამდენადაც ვიცით, ცოტა ხნის წინათ ჩატარდა საქართველოს მეფუტკრეთა კავშირის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა, რომელზეც თქვენ — უკვე მესამე ვადით! — პრეზიდენტად აგირჩიეს. გულითადად გილოცავთ ამ დიდ ნდობას და, თუ შეიძლება, გვიამბეთ კავშირის მუშაობის სამომავლო გეგმებზე.

— საქართველოს მეფუტკრეთა კავშირს წლეულს დაარსებიდან 55 წელი უსრულდება, ის მსოფლიოს მეფუტკრეთა კავშირის (აპიმონდიის) წევრია. რთული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის, კოვიდ-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, მეფუტკრეთა კავშირის ოფისი ერთი დღითაც არ გამოკეტილა, როგორც ადგილობრივ მეფუტკრეებთან, ისე აპიმინდიის ხელმძღვანელობასთან კავშირი უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა.

ამჟამად ჩვენი უმთავრესი მიზანია ქვეყანაში ფუტკრის ოჯახების დაცემის მიზეზთა აღმოფხვრასა და მათი რიცხოვნობის გაზრდაზე ზრუნვა, რაშიც პირველ შემწედ და დამხმარედ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო გვეგულება.

ესაუბრა
ოთარ ტურაბელიძე

დაბალი კვალიფიკაციის მასწავლებლების პენსიაში გაშვება 75.5 მილიონი დაჯდა!



სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეფექტიანობის შესწავლისას რამდენიმე მნიშვნელოვანი ხარვეზი გამოავლინა და მათ აღმოსაფხვრელად შესაბამისი რეკომენდაციები გასცა.

პირველი შენიშვნა მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ეხება, რომელიც 30%-ს შეადგენს, მაშინ როცა საერთაშორისო პრაქტიკა 70%-იან ბარიერს გულისხმობს. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის რეალობაც, რომლის მიხედვითაც ორმაგი, 60%-იანი ზღვარი, როგორც საგნობრივ, ასევე პროფესიული უნარების გამოცდაში მასწავლებელთა მხოლოდ 1.5%-მა გადალახა. აუდიტის ანგარიში 2017-2019 წლების პერიოდს მოიცავს, მას შემდეგ 2020 წელს საგნობრივი კომპეტენციის ზღვარი 50%-მდე გაიზარდა.

2020 წლიდან უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის ტრენინგების გასავლელად სავალდებულო საათების რაოდენობა განისაზღვრა, თუმცა — დარგებისა და კარიერული საფეხურების მიხედვით — სავალდებულო და არჩევითი ტრენინგ-მოდულები იდენტიფიცირებული არ არის, ასევე არ არის შემუშავებული მასწავლებელთა გადამზადების ეტაპობრივი და თანმიმდევრული გეგმა.

აუდიტის სამსახურს შენიშვნები აქვს 2 წლის წინანდელ გადაწყვეტილებასთანაც, რომლის თანახმადაც საპენსიო ასაკს მიღწეულ პედაგოგებს, რომლებიც კარიერულ საფეხურზე ზემოთ ვერ ანაცვლებდნენ, სისტემიდან გასვლის შემთხვევაში 2 წლის ხელფასი ჩაერიცხებოდათ. პროგრამა ბიუჯეტს 75.5 მლნ ლარი დაუჯდა. თუმცა სახელმწიფოს მათი კვალიფიციური კადრებით ჩანაცვლების შესახებ გეგმა არ წარმოუდგენია და სისტემიდან გასულ პირებს 2 წლის შემდეგ უკან დაბრუნების საშუალება მიეცათ.

დასკვნის თანახმად, აუდიტის პერიოდში მასწავლებლების უმრავლესობა ვერ ასრულებდა სქემით განსაზღვრულ როგორც სავალდებულო, ასევე დამატებითი სამუშაოების 40%-ს.

შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად აუდიტის სამსახურმა 5 რეკომენდაცია გასცა: **1) კომპეტენციის დამადასტურებელი ზღვარის მკაფიოდ გაწერა; 2) ტრენინგ-მოდულების განსაზღვრა და მასწავლებელთა სრული კონტიგენტის გადამზადება; 3) სქემით განსაზღვრული მიზნებნის მისაღწევად შესაბამისი რესურსებისა და ინდიკატორების განსაზღვრა; 4) მექანიზმის შემუშავება რომელიც სისტემაში მხოლოდ კვალიფიციურ კადრებს დაიტოვებს, ან მოიზიდავს; 5) სამინისტროს მიერ არსებული სქემის შესწავლა და მასწავლებელთა მხარდამჭერი ღონისძიებების დანერგვა.**

ბახტაძის პრემიერობის დროს, 2019 წელს, პირობა დაიდო, რომ 2022 წელს მშპ-ის 6% განათლებაზე დაიხარჯებოდა. ღარიბაშვილის კაბინეტი ექსპრემიერის გეგმის შესრულებას არ აპირებს...

ეს შეფასებები აბსოლუტურად ზერელე და ცალმხრივია, მაგრამ წაკითხვად მაინც ღირს!

ქართული მედია – პლურალისტური, მაგრამ არა დამოუკიდებელი

„ჟურნალისტიკა, როგორც უმთავრესი ვაქცინა დეზინფორმაციის წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში შეფასებული 180-მდე ქვეყნის და ტერიტორიის 73 %-ში დაბლოკილია ან ძალზე (თუ ნაწილობრივ) შეზღუდულად მუშაობს“, — ასე აფასებს მსოფლიოში მედიის მდგომარეობას საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“.

ორგანიზაციამ 2021 წელს მსოფლიოში პრესის თავისუფლების ინდექსი გამოაქვეყნა. მედიის თავისუფლების კუთხით ლიდერთა შორის არიან ნორვეგია, ფინეთი, შვედეთი, დანია, კოსტა რიკა, ნიდერლანდები, იამაიკა, ახალი ზელანდია, პორტუგალია და შვეიცარია. ამერიკის შეერთებული შტატები 23.93 ქულით 44-ე ადგილზეა.

რაც უფრო მცირეა ქულა 0-დან 100-მდე, მით უფრო უკეთესია ქვეყანაში მედიის თავისუფლების კუთხით არსებული მდგომარეობა. საქართველოს 180 შეფასებული ქვეყნიდან 28.64 ქულა აქვს და რეიტინგში მე-60 ადგილს იკავებს. **„ქართული მედია პლურალისტურია, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის დამოუკიდებელი“,** — აცხადებს ორგანიზაცია. ორგანიზაციის შეფასებით, ქვეყანაში მედია კვლავ ძლიერ პოლარიზებულია. ანგარიში ამბობს, რომ ბოლო წლებში განხორციელებულმა რეფორმებმა ხელი შეუწყო გარკვეულ წინსვლას მედია მფლობელების გამჭვირვალობისა და პლურალიზმის კუთხით, მაგრამ მფლობელები და მმართველები კვლავ ხშირად ახდენენ გავლენას სარედაქციო შინაარსზე.

„ეს ვნახეთ ოპოზიციური არხის, „რუსთავი-2“-ის შემთხვევაში, რომელიც პრო-სამთავრობო არხი გახდა მას შემდეგ, რაც ყოფილი მფლობელის მმართველობის ქვეშ დაბრუნდა. იგივე დავინახეთ „აჭარის ტელევიზიის“ შემთხვევაშიც, რომელმაც მმართველი პარტიის მხარდაჭერა დაიწყო მას შემდეგ, რაც ახალი მმართველები დაინიშნენ და ჟურნალისტები გაათავისუფლეს. ვლინდება შემაშფოთებელი ტენდენცია იმისა, რომ მედია-საშუალებების საქმიანობაში ერეოდნენ უსაფრთხოების სამსახურები და მედიის მარეგულირებელი უწყება — მარეგულირებელი კომისია. ამ უკანასკნელის უფლებამოსილება თანდათანობით გაფართოვდა მიყურადებასა და ცენზურამდე. მისი ონლაინ პლატფორმა, „მედია კრიტიკა“ კი ამოწმებს მედიის შინაარსს და იხრება იქითკენ, რომ დამოუკიდებელი ჟურნალისტური საქმიანობის დისკრედიტება მოახდინოს. მართალია, პოლიციის ძალადობა ჟურნალისტების მიმართ ნაკლებად ხშირია, მაგრამ პოლიცია ზოგჯერ თავს ესხმის ჟურნალისტებს, განსაკუთრებით არჩევნების დროს, და ეს სრული დაუსჯელობით ხდება“, — ასეა შეფასებული ქვეყნის მედია მდგომარეობა ორგანიზაციის მიერ.

„პრესის თავისუფლების ინდექსში“ ასახულია ხალხის მიერ ინფორმაციაზე წვდომის შემცირება და გაზრდილი წინააღმდეგობები ახალი ამბების გამშუქებელთათვის. კორონავირუსის პანდემია კი ორგანიზაციის შეფასებით, ხშირად გამოიყენებოდა იმისთვის, რომ ჟურნალისტებისთვის ინფორმაციაზე წვდომა დაებლოკათ.

მედია-თავისუფლებების თვალსაზრისით ვითარება რეგიონში არც ისე ხელსაყრელია. უპრეცედენტო შეზღუდვები და თავდასხმები ბელარუსი ჟურნალისტების წინააღმდეგ, ასევე მთიან ყარაბაღში მიმდინარე ომის გაშუქების სირთულეები იმ მიზეზებს შორისაა, რომელთა გამოც რეგიონის ქვეყნები პრესის თავისუფლების ინდექსში ცუდ შედეგებს აჩვენებენ. ორგანიზაცია აცხადებს, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში მოქმედებდა „გადამდები“ სურვილი, გაკონტროლებულიყო გავრცელებული ინფორმაცია.

თუმცა ორგანიზაციის თქმით, ყველაზე შემაშფოთებელი რეგიონში მაინც რუსეთის „ევოლუციაა“, რომელიც დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და მედიის წინააღმდეგ მზარდ რეპრესიებს იყენებს. უკანასკნელ პერიოდში გახშირდა, რუსეთში პოლიციის მიერ ჟურნალისტების მასშტაბური და სისტემური შევიწროება. ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ალექსეი ნავალნის პატიმრობასთან დაკავშირებული პროტესტის გაშუქება შეზღუდოს.

ანალიტიკოსები, ასევე საუბრობენ რუსული მედიის მცდელობაზე, გაშუქებულიყო ქვეყანაში კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებული რეალური მდგომარეობა. რუსეთი ორგანიზაციის წლევანდელ რეიტინგში 180 ქვეყანას შორის 150-ე ადგილზეა.

„რუსული მოდელის მსგავსად, სხვა მთავრობებიც იყენებდნენ კოვიდ-19-თან დაკავშირებულ დეზინფორმაციასთან ბრძოლის საბაბს, პრესის თავისუფლებისთვის დამატებითი ბარიერების შესაქმნელად“, — აცხადებენ ორგანიზაციაში „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“.

საქართველოს მეზობელ სომხეთს რეიტინგში 63 ქულა აქვს და მისი რეიტინგი 2 ქულით გაუარესდა წინა წელთან შედარებით. აზერბაიჯანმა კი პოზიციები ერთი ნიშნულით გააუმჯობესა, მაგრამ ის 180 ქვეყანას შორის 167-ე ადგილს იკავებს.

ორგანიზაციის განმარტებით, შეფასებული 180 ქვეყნიდან, მხოლოდ 12-შია ჟურნალისტებისთვის ხელსაყრელი სამუშაო გარემო.

ეკა მაღალდაძე

მთაწმინდის ფერდობი და იპოდრომის ტერიტორია – თბილისის ქალაქის ფილტვები

მთაწმინდის ფერდობზე უკვე დაწყებულია სამუშაოები. უნდა ვთქვა, რომ ეს იპოდრომის პროექტზე უფრო მასშტაბურიც კია. წარმოიდგინეთ, 700 ჰექტარზეა საუბარი. ნიუ-იორკის ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე 2-ჯერ დიდ ფართობზე მოხდება სარეკრეაციო სივრცის აღდგენა, — ამის შესახებ ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ჩხეტიანმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დედაქალაქში“ განაცხადა.

„მთაწმინდის ფერდობზე უკვე დაწყებულია სამუშაოები. შარშან გაკეთდა ძალიან ბევრი კვლევა როგორც გეოლოგიური, ასევე ფაუნისა და ფლორის კვლევა და ა.შ. გამოვლინდა ის პრობლემები, რაც არსებობს. დადგინდა 20-ზე მეტი პარაზიტი, რაც ამ მწვანე საფარს ანადგურებს. სამწუხაროდ, ძალიან ბევრ ხეს უკვე ვეღარ მივუსწარით. მოხდება მათი ამოღება და ახალი ნარგავებით ჩანაცვლება. ის მცენარეები რაც შეირჩა, ჯამში 39 მცენარე უნდა დაირგას ამ ტერიტორიაზე, შერჩეულია ისე, რომ მაქსიმალურად შეესაბამებოდეს ჩვენ პირობებს. უნდა ვთქვა, რომ ეს იპოდრომის პროექტზე უფრო მასშტაბური პროექტიც კია. მხოლოდ წელს 40 ათასი ნერგი ირგვება. აღდგება ის კომუნიკაციები, ველო და საფეხმავლო ბილიკები, რომელიც იქ ისედაც არსებობდა. ჯამში ეს არის 48 კილომეტრი ბილიკი, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ თბილისელებმა. ეს არის უნიკალური პროექტი, რომელსაც ფონდი „ქართუ“ ფონდ „გარემოსა და განვითარებასთან“ ერთად ახორციელებს. 5 წლის თავზე ეს უნიკალური ტერიტორია, დედაქალაქის მწვანე ფილტვი ისევ აღდგება და დაუბრუნდება ქალაქს. ფონდი „ქართუ“ მთელი თავისი რესურსით ცდილობს, რომ სარეკრეაციო ზონები მოწესრიგდეს. ფონდი წლების განმავლობაში ზრუნავდა სხვა ზონებზეც, როგორიცაა ბოტანიკური ბაღები, დაცული ტერიტორიები, ეროვნული ნაკრძალები და ა.შ. ჩვენ ვცდილობთ, შევერკინოთ ამ ეკოლოგიურ პრობლემა, იმ კატასტროფას, რაც ბოლო წლებში დედაქალაქში დატრიალდა და იმედი მაქვს, ამ პროექტებით თბილისს ის სიმწვანე დაუბრუნდება, რაც მას ყოველთვის ჰქონდა“, — განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

* * *

თბილისი წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში და განსაკუთრებული საჭიროებაა მწვანე რეკრეაციული ზონების, — ამის შესახებ ფონდი „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარემ, ნიკოლოზ ჩხეტიანმა ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „დედაქალაქში“ განაცხადა. მისი თქმით, ფონდმა „ქართუმ“ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, რომ სრულად, 100%-ით დააფინანსოს თბილისის ცენტრალური პარკის შექმნა.

„თბილისი წარმოუდგენელი სისწრაფით ვითარდება, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში და განსაკუთრებული საჭიროებაა მწვანე რეკრეაციული ზონების. სწორედ ამ მომენტში მოხდა უპრეცედენტო ქველმოქმედების აქტი. ბიძინა ივანიშვილმა წლების წინ შეძენილი ყოფილი იპოდრომის ტერიტორია გადასცა თბილისს. მეტიც, ფონდმა „ქართუმ“ ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება, რომ სრულად, 100%-ით დააფინანსოს თბილისის ცენტრალური პარკის შექმნა. ეს პარკი თავისი არსით მრავალფუნქციურია, რაც იმას გულისხმობს, რომ ის ყველა თბილისელსა და დედაქალაქის სტუმარზე იქნება მორგებული. იმ კონცეფციაში, რაც წარმოდგენილი იყო შარშან შემოდგომაზე, გათვალისწინებულია მოსახლეობის, საზოგადოების ფართო სპექტრის ინტერესი. მოხდება ამ ტერიტორიის გამოყენება არა მხოლოდ იმ ფარგლებში, რაშიც დღეს გამოიყენება, არამედ სხვა კატეგორიის მოქალაქეებისთვის, ბავშვებისთვის, ხანდაზმული ადამიანებისა და მრავალი სხვა ფუნქციონალური დატვირთვისთვის იქნება მზად ეს ტერიტორია. სწორედ ამით არის განპირობებული მისი მრავალფუნქციურობა. ძალიან მალე, თბილისს ექნება ცენტრალური პარკი და ეს არ არის შემთხვევით შერჩეული სახელწოდება“, — განაცხადა ნიკოლოზ ჩხეტიანმა.

სტიქია ჭიაურაში

უხვი ნალექისა და ძლიერი ქარის შედეგად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ჭიაურის ადმინისტრაციულ ერთეულში, მოსახლეობის ნაწილს სასათბურე მეურნეობები დაუზიანდა.

ადგილობრივების ინფორმაციით, რამდენიმე ადგილას ქარმა ხე წააქცია, ელექტროგადამცემი ხაზები კი დააზიანა. შემთხვევიდან მალევე ადგილზე ჩავიდა „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ტექნიკური სამსახური და ამ ეტაპზე მოსახლეობის ნაწილს ელექტროენერგია აღუდგა.

ჭიაურში, ძლიერი ქარის შედეგად ორ ოჯახს საცხოვრებელი სახლის სახურავი მსუბუქად დაუზიანდა.

ლაგოდეხის მერის, ჯონდო მდივნიშვილის განმარტებით, მუნიციპალიტეტი ინფორმაციას ამ დრომდე იღებს, რის შემდეგაც მერიაში მუდმივმოქმედი კომისია ადგილზე ჩავა და ვითარებას დეტალურად შეისწავლის.



ყველა კაცმა რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რისი შემძლებელიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან.

ილია ჭავჭავაძე

ორესტ (ზაურ) ბედია ზვიად გამსახურდიასთან და ჯოჰარ დუდაევთან ერთად.

აბუჩად აგდებული დევნილთა ბედი

ДЕВНИЛИ ჩვენი ქვეყნის ყოფიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოება უნდა შედგებოდეს, არა იზოლირებული და სხვაზე დამოკიდებული პიროვნებებისგან, არამედ ურთიერთსიყვარულზე, ურთიერთპატივისცემაზე დამოკიდებული ადამიანებისგან... მით უმეტეს, თუ ამ ადამიანთა შორის სახელმწიფო მოხელეებს მოვიაზრებთ და განსაკუთრებით იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც დევნილ მთავრობას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს, რომელთათვისაც ნებისმიერი დევნილის ტკივილი, პრობლემა, სიხარული, წარმატება მათ ტკივილს, პრობლემას, სიხარულს, წარმატებას უნდა წარმოადგენდეს... და პირიქით, დევნილი მთავრობის, საკანონმდებლო ხელისუფლების წარმატება, თითოეული დევნილის ცხოვრებაზე და ყოფაზე უნდა აისახებოდეს. ჩვენი ხელმძღვანელობის წარმატებით, თითოეულმა ჩვენგანმა, დევნილმა საზოგადოებამ თავი ბედნიერად უნდა ვიგრძნოთ. მათი მოღვაწეობის და ცხოვრების ძირითადი პრინციპი უნდა იყოს – დევნილ მოსახლეობასთან ერთად გამარჯვება... ძლიერი ხელისუფალი უნდა ეხმარებოდეს სუსტ და გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ, მისი კუთხის შვილს, ნებისმიერ დევნილს. მათ ერთი პრობლემით და ერთი გამარჯვებით უნდა იცხოვრონ...

სამწუხაროდ, ყოველივე ზემოთ თქმული, არანაირად არ ეხება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ ხელისუფლებას, როგორც მთავრობის, ასევე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეებს, ბატონ რუსლან აბაშიძეს და ბატონ ჯემალ გამახარიას... და მათ, ე.წ. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა გარკვეულ ჯგუფს, არ ადარდებთ, არ აწუხებთ, დღევანდელ გაუსაძლის ყოფაში მყოფი აფხაზეთის დევნილი ადამიანების ბედი, არც ენგურს გაღმა და არც ენგურს გამოღმა საქართველოში. არანაირი სურვილი, არანაირი ინიციატივა არა აქვთ, მოიქცნენ ისე, როგორც სახელმწიფო მოხელეებს შეეფერებათ და მცირედით მაინც გაიაზრონ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის (უდიდესი ნაწილის) ტკივილი და გაუსაძლისი მდგომარეობა.

მათ იმის უნარიც კი არა აქვთ, რომ ტექნიკურად მაინც შეუწყონ ხელი ენგურს გაღმა მცხოვრებ გალის (ქართველ) მოსახლეობას, პენსიონრებს, ავადმყოფებს, გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფ ჩვენს სისხლსა და ხორცს; არა აქვთ უნარი და სურვილი იმისა, რომ მოლაპარაკება აწარმოონ, თუნდაც გალის მუნიციპალიტეტთან, რომ ყოველი თვის, თუნდაც ბოლო რიცხვებში, ნება დართონ ენგურის ხიდზე, თუნდაც მიმდებარე ტერიტორიაზე (დაცვის სამსახურთან ერთად), მოხდეს მათთვის მიზერული პენსიის მიღება... სწორედ მათი, აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის უმოქმედობაზე, სინდისზეა, ოთხი უდანაშაულო ადამიანის ტრაგიკულად დაღუპვა, აზვირთებულ და ამღვრეულ ენგურში...

რუსლან აბაშიძე

სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფალთ, ჩვენი მოსახლეობა, ენგურს გაღმა და ენგურს გამოღმა, არჩევნების დროს ახსენდებათ. პირდებიან ყველაფერს, რისი დაპირებაც შეიძლება და არ შეიძლება. გამოიყენებენ მათ ხმებს და მორჩა. მათთვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისთვის გამოყოფილი 19, 20 თუ 21 მილიონიანი ბიუჯეტიდან, არაფერი არ არის გათვალისწინებული. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მისი ხელმძღვანელობის კეთილდღეობას ხმარდება. ზუსტადაც, ბიუჯეტის ხარჯზე მოიწყვეს და იწყობენ კომფორტულ ცხოვრებას, იშენებენ ფეშენებელურ სახლებს, აგარაკებს. მოგზაურობენ (ოჯახებთან, მეგობრებთან ერთად), როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთში. ისვენებენ, ერთობიან, სხვადასხვა ფეშენებელურ, ძვირად ღირებულ სასტუმროებში და, მოკლედ რომ ვთქვათ (ბიუჯეტის ხარჯზე), საამური აქვთ ცხოვრება... და რაც ყველაზე სამწუხაროა, მათი ქმედებების მომკითხველი და განმკითხველი არავინაა. ყველაფერი იქნებოდა მართლზომიერად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რომ იყოს მათი ქმედებები სათანადოდ შესწავლილი და მოკვლეული, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი საპირისპიროდ ხდება... რამდენიმე შეკითხვა მინდა დავუსვა ცენტრალურ ხელისუფლებას:

1) რამდენად ადვილია ან ძნელია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი პირების საქმიანობის შესწავლა?

2) რამდენად სწორად არის წარმართული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის საკადრო პოლიტიკა და რამდენად შეეფერებიან თანამდებობებს უმაღლესი თანამდებობის პირები?

3) რამდენად სწორად აქვთ აგებული სამართლებლივი სისტემა?

4) რამდენად შესაძლებელია (სამართლებრივად) აფხაზეთის ხელისუფლების უმაღლეს პირებთან ურთიერთობა, კომუნიკაცია დევნილი მოსახლეობისთვის?.. ძალიან საინტერესოა, როგორც ჩემთვის, ასევე ყველა აფხაზეთელისთვის, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, ზემოთ დასმულ შეკითხვებზე რა პასუხებს მივიღებდით.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის და უმაღლესი საბჭოს არასწორმა პოლიტიკამ, არა მხოლოდ დევნილი მოსახლეობა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყანა ჩააყენა სავალალო მდგომარეობაში. ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი უნდა იყვნენ ყველაზე აქტიურები, მობილიზებულები, შემართულები, რათა უკეთესი გარემო და უკეთესი მომავალი შეუქმნან, როგორც დევნილ მოსახლეობას, ასევე ჩვენს ერსა და მომავალს. ნაცვლად ყოველივე ზემოთ თქმულისა, ისინი აბსოლუტურად, უკიდურესად, საპირისპირო თვისებებითა და ქმედებებით გამოირჩევიან. საზოგადოება დაბნეულია, არეულია, ჰიპნოზირებულია, მოჯადოებულია. ჩვენს ერში, ჩვენს საზოგადოებაში, ნამდვილად ბევრია, ძალიან ბევრია წესიერი ადამიანი, წესიერი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, პარტიები და ა.შ., რომლებიც ეროვნული ღირებულებებით ცხოვრობენ. არ არის აუცილებელი არჩევანი მაინცდამაინც „ქართულ ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ შორის გაკეთდეს... როცა გაიმარჯვებ, ამ გამარჯვებას უფრო მეტად სჭირდება დაცვა... ქვეყნის უახლეს ისტორიაში, ძნელად, სისხლის ფასად, მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით, მაგრამ იმ ავადსახსენებელმა 13%-იანმა

ჯემალ გამახარია

მცირე სექტამ (თავისი მოღალატეობრივი პოლიტიკით), ყველაფერი გააკეთა დამოუკიდებელი, ერთიანი საქართველოს დასახიჩრებისთვის. დღესაც მათი „ღირსეული“ შთამომავლობა კვლავ „ღირსეულად“ აგრძელებს ქვეყნის დამანგრეველ პოლიტიკას.

დროა გამოიღვიძოს ერმა და ბერმა, რომ გააანალიზოს წარსული, აღარ გაიმეოროს ძველი შეცდომები, მომავალი დაუთმოს მამულიშვილებს, რომლებიც ჩვენსკენ მოაბრუნებენ აფხაზებს, ოსებს. ამისათვის კი აუცილებელია, ქვეყანას მოვაშოროთ აფხაზეთის დღევანდელი უღირსი, უზნეო, ყაჩაღი მთავრობა. დროა საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ პასუხი აგებინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის (ლეგიტიმური) მთავრობის ხელმძღვანელობას კანონის წინაშე, რათა დევნილების მცირე ულუფა დევნილებს დაუბრუნდეს...

ქართველი ერი ყოველთვის ვიყავით ღირსებით, განათლებით, დარბაისლობით გამორჩეული. როცა შენი ერის და ქვეყნის სახე ხარ, ყოვლად სამარცხვინოა, როდესაც შენი ქვეყნის უღირსი პარლამენტარი, უღირსი ქმედებით, თავს გვჭრის მთელი მსოფლიოს წინაშე. როდის ყოფილა, რომ ქართველი ვაჟკაცი, შარვლის ჩახდით და თავისი უკანალის გამოჩენით ებრძოდა ან აშინებდა მტერს. რომელი ქვეყნის წარმომადგენელი მოიქცა ასე?! და ასეთ ქცევას მავანნი და მავანნი დემოკრატიას ეძახიან. ეს დემოკრატია კი არა, ერის სირცხვილია. ასეთი უზნეო ადამიანები ერის სახელით ლაპარაკობენ.

მინდა მივმართო, ისევ და ისევ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელობას (რუსლან აბაშიძეს, ჯემალ გამახარიას) - ვის და რას ემსახურებით თბილისში, დედაქალაქში, ფუფუნებაში ჩაძირულები, ყველა სიკეთით უზრუნველყოფილი, აფხაზეთის მთავრობა?!. 78 წლის კაცმა, ვალერი შონიამ, ძლივს შემოაღწია შენობაში, რომ ჯემალ გამახარია ენახა, პრობლემებზე ესაუბრა. იმის ნაცვლად, რომ ხანში შესული, წესიერი, დევნილობაში მყოფი ადამიანი, ღირსეულად მიეღოთ და დაეფასებინათ, გამახარიას დაცვის სამსახურმა ისე გაჩხრიკა და გააშიშვლა, ლამის დედიშობილა დატოვა ამ ხნის კაცი... აგვიხსენით, ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილ მოსახლეობას, **არსი თქვენი არსებობისა!**..

ფაქტია, რომ აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა (150 000-ზე მეტი) დასავლეთ საქართველოშია. აქედან გამომდინარე, აფხაზეთის მთავრობა და მით უმეტეს უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული ცენტრი უნდა იყოს დასავლეთ საქართველოში, კონკრეტულად კი ზუგდიდში, საოკუპაციო ხაზებთან ახლოს, რაც უფრო მეტად შეუწყობდა ხელს სახალხო დიპლომატიით საერთო ენის გამონახვას ჩვენს ენგურს გაღმა დარჩენილ აფხაზეთის მოსახლეობასთან. სახალხო დიპლომატია ხელს შუწყობს აფხაზებსა და ჩვენს შორის ურთიერთობის აღდგენის ჯანსაღი პროცესის დაჩქარებას და სწორი პოლიტიკის წარმართვას.

ხანში შესული კაცი ვარ და შეიძლება ბევრი რამე დამავიწყდეს, შემეშალოს კიდეც, მაგრამ არასდროს დამავიწყდება ჩემი ცხოვრების მთავარი რეისი, 1992 წლის 10 იანვარს, როცა მე დამეკისრა ზვიად გამსახურდიას და მისი ოჯახის გადარჩენა, მათი ერევნიდან გროზნომდე სამშვიდობოს გამოყვანა. არასოდეს დამავიწყდება, როგორ მოგვდევდა ჰაერში სამხედრო გამანადგურებლები... მართალია, ჩემი ცხოვრების მთავარი რეისი მშვიდობით დავამთავრე, მაგრამ ქვეყნის პირველი პრეზიდენტის სიცოცხლე მაინც შეეწირა ერთიან და დამოუკიდებელ საქართველოსთვის ბრძოლას. ქვეყანაში, რომლის მიწაც გაჯერებულია ზვიადის, მერაბის, ქვეყნის მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირების სისხლით, სასწრაფოდ უნდა დამთავრდეს რუსლან აბაშიძის და ჯემალ გამახარიას მმართველობა და პარპაში, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის და ფუფუნებისთვის იყენებენ დევნილებისთვის განკუთვნილ ყველა ულუფას. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აფხაზეთს დავიბრუნებთ მხოლოდ და მხოლოდ სახალხო დიპლომატიით, ამიტომაც უპრიანი იქნება, აფხაზეთის ახალი, წესიერი, ეროვნული მთავრობის (უმაღლესი საბჭოს) ადმინისტრაციული ცენტრი, განთავსებული იყოს მხოლოდ და მხოლოდ საოკუპაციო ხაზთან ახლოს – ზუგდიდში!

ОРЕСТИ (ЗАУР) БЕДИА,
სოხუმის გაერთიანებული ავიარაზმის ტუ-134 ხომალდის მეთაური
ტელ: 574-000-601

მხატვარი აზერ ალიევი

ცნობილი აზერბაიჯანელი მხატვარი და დიზაინერი აზერ ალიევი 1969 წელს ბაქოში დაიბადა. პატარა აზერს ბავშვობიდანვე ხიბლავდა მშობლიური ქალაქის სილამაზე: ციხე-სიმაგრის ვიწრო ქუჩები; კასპიის თვალწარმტაცი ტალღები, რომლებიც ნაზად ეხეთქება ნაპირებს; ზღვის თავზე მფრინავი თოლიების ყიყინა ყვირილი; ბულვარზე მედიდურად ჩამწკრივებული კიპარისები; უდარდელად მოსეირნე შეყვარებული წყვილები; დომინოსა და ნარდის თამაშში აზარტულად „ჩართული“ პენსიონერები; არქიტექტურული შენობები და განსაკუთრებული კოლორიტის მიმნიჭებელი ქალწულთა კოშკი მასზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენდნენ. ჯერ კიდევ მაშინ, მას სურდა აღებეჭდა ეს ყველაფერი, იმისათვის რომ ადამიანებს ამ ხიბლით დატკბობა შესძლებოდათ. და მას ეს გამოუვიდა! თუმცა, მართალია, რამდენიმე წლის შემდეგ! თავდაპირველად ქაღალდზე გადაჰქონდა ყველა მომენტი წვრილი დეტალების გათვალისწინებით, მოგვიანებით კი – ტილოზე. ის გაიტაცა თავის ცხოვრებაში ყველაზე მთავარმა და საყვარელმა საქმემ, რამაც იგი აზიმა აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სკოლაში მიიყვანა. იმისათვის, რომ სამხატვრო ოსტატობა დაეხვეწა, მან 1988 წელს ა. ჰუსეინზადეს სახლობის აზერბაიჯანის კულტურისა და ხელოვნების ინსტიტუტში ჩააბარა.

აზერ ალიევი მიღწეულ შედეგებზე არ გაჩერებულა. 1988-1991 წლებში ის მონაწილეობას ღებულობს სახელგანთქმული მხატვრის მაისეენკოს სამხატვრო აკადემიაში მოწყობილ მასტერ-კლასებში. ამავდროულად აზერი ბარონ შტიგლიცის სახელობის უმაღლესი სამხატვრო-საწარმოო აკადემიაში იწყებს დიზაინის ხელოვნების შესწავლას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ აზერი აზერბაიჯანის ტელევიზიის დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მხატვარგამფორმებლად ეწყობა.

1993 წლიდან აზერ ალიევი მონაწილეობას ღებულობს ხელოვნებისადმი მიძღვნილ სხვადასხვა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკურ გამოფენებსა და სიმპოზიუმებზე. მისი ნამუშევრები გამოფენილია გერმანიის, საფრანგეთის, იტალიის, ფინეთის, თურქეთის, რუსეთის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების პრესტიჟულ საგამოფენო დარბაზებში.

აზერ ალიევი არის მხატვართა კავშირისა და აზერბაიჯანის დიზაინერთა კავშირის წევრი. ის ცნობილია, როგორც მრავალი გამოფენის ორგანიზატორი. მის მიერ ორგანიზებულ იქნა უმაღლეს დონეზე ჩატარებული ცნობილი ფრანგი მოდელიერის პაკო რაბანას ფეერული კოლექციის ჩვენება „გიულისტანის“ სასახლეში.

როგორც ფუნჯის ნიჭიერი ოსტატი, 2018 წელს აზერ ალიევი აზერბაიჯანის წარმომადგენლობითი პირი იყო ლუვრში მიმდინარე საერთაშორისო გამოფენაზე „ფკე Orწზზშტპ“, ასევე კანსა და მილანში გამართულ გამოფენებზე.

აზერ ალიევი თავის ქვეყანაში დიზაინერულ ხელოვნებაში პროფესიონალად ითვლება, გამოირჩევა თავისებური სტილითა და ნატიფი გემოვნებით. მის მიერ შექმნილია 300-ზე მეტი პროექტის ინტერიერისა და გრაფიკის დიზაინი. ის არის ნაშრომის – „ეროვნული და ისტორიული ტრადიციების გავლენა ტანსაცმლის კულტურაზე“ – საფუძველზე შექმნილი ტანსაცმლის, წიგნის – „თურქ ხალხთა ტანსაცმელი“ და წიგნის – „თურქ ხალხთა ტანსაცმლის მიხედვით შექმნილი ლექსიკონი“ დიზაინის ავტორი, ასევე ის არის პროფესიონალი დიზაინერების მომზადების სასწავლო ცენტრის „Iფლგვუთშპტსუტეუკ“ დამაარსებელი.

და მაინც, აზერ ალიევის შემოქმედების პრიორიტეტი მხატვრობაა, მისი ნამუშევრებია, ძირითადად, პეიზაჟები, რომლებსაც მხატვარი ცოცხალ ბუნებასთან ურთიერთობით იღებს. მისი ნახატები გასაოცრად გადმოსცემენ სინამდვილეს, თავისში ატარებენ სიცოცხლესა და კოლორიტს. თითეულ შტრიხში არის სიცოცხლის პოეზია, თითეული ფუნჯის მოსმაში – აზრის აღმაფრენა! ფუნჯის ერთი შეხებით ფერები გაცოცხლებას იწყებენ და ტაატით ნავადრობენ ექსპრესიაში. „წითელი პეიზაჟი“, „რითმები“, „აღმასვლა“, „მზიანი დღე“, „ცნობა“, „სოფლის მოტივი“, „მოლოდინი“, „აბშერონზე“ და მხატვრის მრავალი სხვა ფერწერითი ტილო თანამედროვე აზერბაიჯანულ ხელოვნებაში რეალიზმის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს.

შემთხვევითი არაა, რომ ჩრდილოეთ კიპრის ქალაქ გირნში ჩატარებულ სიმპოზიუმზე აზერბაიჯანელი მხატვრის ნამუშვრებმა ჟიურის განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა, როგორც დამკვიდრებული ტრადიციების, თანამედროვე მიმდინარეობისა და მაღალმხატვრულობის სინთეზმა. ფუნჯის ოსტატი აღიარებს, რომ ეს დედამიწა, აქამომდე შემონახული ანტიკური ხანის კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ძეგლებით უზარმაზარი მასალაა ახალი ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად. უჩვეულო ცისფერი ცა, კდემამოსილი ზურმუხტოვანი ზღვა, წითელი კერამიკით შესრულებული სახლები, უცნაური ფორმის ხეები, ზღვის ტალღებზე მოქანავე იალქნიანი გემები წარმოუდგენელ მიმზიდველობას ანიჭებენ მას. ეს სილამაზე საოცარ ფერთა გამაშია გადმოცემული აზერ ალიევის ნამუშევრებში და ფერწერის ხელოვნების მოყვარულებს ამ ყოველივეთი განმსჭვალვას აიძულებს.

ამჟამად აზერ ალიევი აზერბაიჯანის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის უფროსი პედაგოგია და, არაა გასაკვირი, რომ მას ბევრი მიმდევარი ჰყავს, რომელთაც ის თავის ბრწყინვალე ოსტატობასა და ხელოვნების ცოდნას გადასცემს.

ელმირა კაჯიევა,
მწერალი, ჟურნალისტი

მოგონებების სადღეგრძელო

ალავერდი - გურამ ვაშაკიძესთან



ჩემო გურამ, მართალია ახლა მე და შენ იმდენს ვეღარ ვსვამთ, რამდენსაც წლების წინ, მაგრამ მაინც რაღაცას მოვახერხებთ, – პატარა ჭიქებით.

გახსოვს, დამსახურებული ჟურნალისტის წოდება რომ მოგანიჭეს, აგიტყდი, ამ ამბავს მაღარიჩი უნდა-მეთქი. რა კარგი დრო გავატარეთ „ჯიგარხანაში“ (ჩვენ რომ დავარქვით ერთ უბრალო სასადილოს გორში, რკინიგზის სადგურთან). კარგი მასპინძლობა გაგვიწია ლეო იასაშვილმა. გვიყვარს ერთად ყოფნა, მეგობრები, მეზობლები და თანამოაზრეები ტყუილად ხომ არა ვართ. დაიარები ჩვენს ქალაქში ღვაწლმოსილი კალმოსანი, გამვლელები მოწიწებით გიკრავენ თავს ნამუსიანი ჭაღარის პატრონს. „ყველა თმა როდი ჭაღარავდება, ჩემო მკითხველო, სისპეტაკეში“ – ასე მკითხველი, რომელიც ძალიან მოსწონს შენი თანაკლასელი მეგობრის შვილს, ახალი თაობის ნიჭიერ პროზაიკოსს გიორგი სოსიაშვილს. ვეღარ მივადევნე თვალი, რა ჰქენი, მოგონებების წიგნს რომ წერდი ნოდარ სოსიაშვილზე.

შენმა ორივე გოგომ გერმანიაში შექმნა ოჯახი. თავიანთი წვლილი შეაქვთ ქართულ-გერმანულ კულტურულ ურთიერთობაში (რამხელა წიგნები დაწერეს). ხშირად ჩამოდიან და, მარტო კი არა – შვილებით, რითაც უზომოდ გახარებენ შენ და ქალბატონ თინას, შენს ძვირფას მეუღლეს, სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგს და გემრიელი სუფრის შემოქმედს – მე ხომ არაერთხელ დავრწმუნებულვარ ამაში.

ჩვენს მეზობლობას გაუმარჯოს! მახსოვს რა აღტაცებული იყო პატარა გერმანელი ბიჭუნა – შენი შვილიშვილი, ჩემს ეზოში მწიფე ბლის ხეზე რომ ავაძვრინეთ, მერე ბლის კუნწულებით საყურები რომ გავუკეთეთ. რატომ სურათი არ გადავუღეთ მაშინ, გული მწყდება.

ნიკო ოთინაშვილი გაგაცანი, ქართული ონომასტიკის მკვლევარი, ალექსანდრე ხელაიასაც უნდოდა შენი გაცნობა, გორის უნივერსიტეტის ყოფილ პროფესორს, კარალეთში რომ ცხოვრობს და მთელი სოფელი სიყვარულით „ბაბუს“ რომ ეძახის ქართლში დაოჯახებულ ოდიშარს.

ჰო და მაღალ დონეზე ჩატარდა ეს შეხვედრაც.

„გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები“?

რა თქმა უნდა გაგონდება. შენ ხომ მთელი გალაკტიონი იმ შეხვედრის გარეშეც ზეპირად იცი.

პოეზიის ტრფიალი ხარ. ორი ლექსი მოგიძღვენი, ერთი ჭადრაკის თემაზეა (ჩვენ ხომ მოჭადრაკეებიც ვართ) და ჩემს სამ წიგნშია დაბეჭდილი. მეორე აკროსტიხია (გურამ ვაშაკიძეს), სათაურით „სონეტი მეგობარს“. ის დავბეჭდე წიგნში „გორს და გორელებს“.

ეს ყოველივე შენ კარგად იცი და მე გახსენებ მხოლოდ -– მაშ რა უნდა ვთქვა ჩვენი კარგი მოგონებების სადღეგრძელოზე?

სადღა არ ვყოფილვართ ერთად – სიღნაღში, მარტვილში... არ გააცდენდი იაკობობას ვარიანში, ემზადებოდი საასპინძოდ შოთაობაზე, ჩარგალშიც ბევრჯერ დავსწრებივართ ერთად ვაჟაობას. ბოლოხანს არაგველობაზე ვიყავით დუშეთში. ნაღდ მამულიშვილს გიყვარს ქართული დღესასწაულები.

აგვისტოს ომის დროს, გახსოვს, ჩემს სახლში რომ ვსვამდით და ჯანსუღ ჩარკვიანმა დარეკა. ნაწყვეტი ჩემი წიგნიდან „ფარული“ ჩანაწერები“: „ჯემალ, ბიჭო, მანდ რას აკეთებ, თავზე ბომბები გაცვივა. რას ვაკეთებ, ბატონო ჯანსუღ და გურამ ვაშაკიძესთან, ოთარ გაზაშვილთან და თემო ლაფაჩთან ერთად რუსების დედის ტ-ვნის სადღეგრძელოს ვსვამ. არ ქნათ, ბიჭებო, ეგ საქმე, გამრავლდებიან...“

მეორე ნაწყვეტი: „რამდენიმე ლექსი დავწერე. 19 აგვისტოს გურამ ვაშაკიძემ გადასცა ტელეფონით „თავის“ გაზეთს და მეორე დღესვე უკვე დაბეჭდილი იყო „საქართველოს რესპუბლიკაში“ 15 აგვისტოს დაწერილი ლექსი „გორს ბომბავენ რუსები“.

მძიმედ გასახსენებელი წუთები გვაქვს, მაგრამ რას ვიზამთ, ჩემო ძმაო, ეს ჩვენი ბიოგრაფიაა, ეს ქვეყნის ისტორიაა.

ხშირად სტუმრობ ბიბლიოთეკას – ერთადერთ ბიბლიოთეკას (არადა 12-მდე ბიბლიოთეკა გვქონდა გორელებს). იქიდან გამოსულს გხედავდა სამკერვალო ატელიე „ნემსის ყუნწის“ პატრონი ვიტალი ჩაჩანიძე და ერთხელაც მეუბნება ეს ხელმარჯვე ოსტატი: გამგეობაშიც მუშაობდა, თანამდებობის პირი იყო, კორესპონდენტი ხომ იყო და იყო, ერთხელ არ შევუწუხებივარ, გამაცანი.

ხალხი ოცნებობს შენს გაცნობაზე.

ეს მდგომარეობა შენ დათესე, როგორც უანგარო ადამიანმა, რომელმაც იცის რა მაღალი პასუხისმგებლობის მატარებელია ცნება ჟურნალისტი.

...ფანშეთში მივდივართ სამქანაშვილების ოჯაში, ყაზბეგის გვერდზეა ეს სოფელი. გზაში თოვლ-წვიმა წამოგვეწია. გავჩერდით. რა ვქნათ? საიდანღაც არყის ბოთლი გამოვაძრეთ. შენ ტილოში გახვეული ჭადი გამოაჩინე - შენი გამომცხვარი და თანაც ისევ თბილი. ძალიან გემრიელ ჭადს აცხობ, მე ვერ გამომდის შენნაირი.

იუმორთან მწყრალად არა ხარ. ვარიანში „იაკობობაზე“ მითხარი – აქ სადღაც ლუარსაბ თათქარიძის ლამაზისეული დადისო. მოძებნე გადაპრანჭული ქოლგიანი დედაკაცი და მასთან ერთად სურათი გადავიღეთ – სახალისოდ.

სადღეგრძელო გამიგრძელდა, ახლა შენც ხომ უნდა დაგაცადო, როგორც მე დავცლი ამ ჭიქას, ისე მტერი დაგეცალოს – ალავერდი ჩემს გურამ ვაშაკიძესთან!

ჯემალ ინჯია

„დანაღმული“ რეგიონი საქართველო დაზვერვის უფროსისა და უსაფრთხოების დოკუმენტის გარეშე

მას შემდეგ, რაც 2019 წლის სექტემბერში ლევან იზორია თავდაცვის სამინისტროდან დაზვერვის სამსახურის შეფად, ხუთ თვეში კი ძმასთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე გერმანიაში ელჩად გაამწესეს, „უცნაურია“, მაგრამ უწყებას უკვე წელიწადზე მეტია, ხელმძღვანელი არ ჰყავს: დაზვერვას უფროსის მოვალეობის შემსრულებლის რანგში შალვა ლომიძე ხელმძღვანელობს.

„საქართველო, რომელიც უაღრესად დიდი საგარეო გამოწვევების წინაშე დგას, საჭიროებს, რომ ყველა უწყებას ჰყავდეს ხელმძღვანელი და ყველა უწყება სრულფასოვნად ფუნქციონირებდეს“,— ამბობს „აქცენტთან“ GIPA-ს ასოცირებული პროფესორი **თენგიზ ფხალაძე**.

შესაძლოა, უწყებას უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პირობებში ფუნქციონირება ტექნიკური თვალსაზრისით არ აფერხებდეს, მაგრამ „სტრატეგიული ანალიზის ცენტრის“ დამფუძნებელ, მე-10 მოწვევის პარლამენტის დეპუტატ **თეონა აქუბარდიასთვის** აღნიშნული ზოგადად, უსაფრთხოების სექტორისადმი ზერელე, არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების მანიშნებელია.

უსაფრთხოების 11 წლის წინანდელი კონცეფცია დღეს?!

როგორ წარმოუდგენია ქვეყანას საკუთარი უსაფრთხოების გარემო და როგორ ცდილობს სტრატეგიული მიზნების განხორციელებას? როგორ აფასებს ქვეყანა საფრთხეებს, რისკებს, გამოწვევებს — სწორედ ამ გარემოებების გათვალისწინებით იქმნება ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტი, რომელიც საქართველოს 2011 წლის შემდეგ არ განუახლებია. ამ ხნის განმავლობაში კი რამდენჯერმე შევიდა ცვლილება მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციაში, აუცილებლობა განმარტა იმისა, რომ საზოგადოებრივ მოთხოვნებს მეტად უნდა მისადაგებულიყო თუნდაც იგივე ოჯახის დეფინიცია; ანაკლიის პორტის მშენებლობის აუცილებლობა, რომლის მომავალიც აბსოლუტურად ბუნდოვანია, მიუხედავად კონსტიტუციური გარანტიებისა, პროექტის ავტორები კი სასამართლოებში დარბიან, მაგრამ უსაფრთხოების მთავარ დოკუმენტზე ჯერი არჰვერ მიდგა!

ლოკალურ დონეს რომ გავცდეთ, 2011 წელს, მათ შორის, ყირიმი რუსეთის მიერ ჯერ კიდევ არ იყო ანექსირებული, შესაბამისად, — შავ ზღვაზე მისი წარმოდგენილობა გაზრდილი, — უკრაინაში ომი გაჩაღებული, — სამხედრო ძალით სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში წარმოდგენილი, ჯერ კიდევ არ არსებობდა ტერმინი „ჰიბრიდული ომი“.

„იმდენად მოძველებული დოკუმენტით ვხელმძღვანელობთ, რომ მისი არსებობა აზრს კარგავს“, — ამბობს „აქცენტთან“ ფხალაძე. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება აძლევს მას დასკვნის საფუძველს, რომ უსაფრთხოების სექტორში უკიდურესად მძიმე ვითარებაა და სტრატეგიული დოკუმენტის — ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის, აქედან გამომდინარე, საფრთხეების შეფასების დოკუმენტის განახლების გადაუდებელ აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას:

„ცალ-ცალკე ვსაუბრობთ ხოლმე თავდაცვის, საგარეო პოლიტიკის დოქტრინაზე, მაგრამ გვავიწყდება, რომ არ გაგვაჩნია მთავარი დოკუმენტი, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს ყველა სხვა დოკუმენტები“.

ფხალაძის ანალიზით, არათუ 2011 წლის დოკუმენტია სადღეისოდ არსებულ მოცემულობასთან ადეკვატური, უკვე განახლებული დოკუმენტი კავკასიაში გასულ წელს განვითარებული მოვლენების შემდეგაც უნდა განახლებულიყო, 11 წლის წინანდელი დოკუმენტი კი ბუნებრივია, ვერ ასახავს მთელ რიგ გამოწვევებს:

„კიბერუსაფრთხოება, საინფორმაციო და ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ ტარდება, კონფლიქტები, რომელიც ჩვენს ირგვლივ გაცოცხლდა და განახლდა, მათ შორის, ყირიმის ანექსია, მათ შორის, სამხედრო დაჯგუფება „ვაგნერი“ (რომლის დაქირავებული მებრძოლები ჩვენს წინააღმდეგაც იბრძოდნენ, მაგრამ ახლა მან უფრო სრულყოფილი სახე მიიღო და მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში გამოიყენება); ის, რომ მთელი ეს საფრთხეები ერთმანეთთან დაკავშირებული გახდა: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, ანექსირებული ყირიმი და ჩრდილოეთ კავკასია რუსეთს ერთ სამხედრო ოლქში ჰყავს ჩართული, განიხილავს ერთ სამხედრო ტერიტორიად და წვრთნებსაც სწორედ ამ მიმართულებით ატარებს; აგრეთვე, ყარაბაღის თემა. ჩვენს კონცეფციაში საერთოდ არ არის შავი ზღვის საკითხი, არადა ვიცით, რომ შავ ზღვაზე უამრავი რამ მოხდა“.

ფხალაძე თავად რუსეთის მიერ უსაფრთხოების კონცეფციისა და აქედან გამომდინარე, მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების განახლებაზე ამახვილებს ყურადღებას და მიუთითებს, რომ წინა დოკუმენტებისგან განსხვავებით, საქართველოსთვის სხვა ტიპის საფრთხეები გამოჩნდა, საფრთხეებს შეიცავს მისი ქმედებებიც:

„ვგულისხმობ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების გამალებულ მილიტარიზაციას და სხვა ტიპის სამხედრო აქტივობებს იქ, უფრო საშიშის, ვიდრე ეს მანამდე იყო; ვგულისხმობ არაკონვენციური, ჰიბრიდული ომების წარმოების საშუალებებს; ვგულისხმობ რუსეთის ხედვას რეგიონის მიმართ, რომელიც უფრო ფეთქებადსაშიში, აგრესიული, შეტევითი გახდა. ასევე უსაფრთხოების ნაწილია პანდემია და გვაჩვენა, რომ მსგავსი საფრთხეების მიმართ ქვეყანა დაუცველია.

თუ დოკუმენტი არ განახლდა, შესაძლოა, ცალკეულმა უწყებებმა გადახედონ თავიანთ სამოქმედო გეგმებს, მაგრამ ეს ვერ ჩაანაცვლებს მთავარ დოკუმენტს. ეს დაახლოებით იმგვარი ქმედებაა, კონსტიტუციაში სხვა რამ გვეწეროს და ჩვენ სხვა კანონს ვიღებდეთ. **სამოქმედო გეგმა სტრატეგიიდან გამომდინარე იწერება, ჩვენ კი სტრატეგია არ გვაქვს და აქედან გამომდინარე, არ გვაქვს მეორე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც საფრთხეებს აფასებს“.**

ამასთან, ფხალაძე აუცილებლად მიიჩნევს, უსაფრთხოების საბჭო გადაიქცეს ქმედით ორგანოდ:

„ეს ორგანო შეიქმნა იმისთვის, რომ მოხდეს უწყებებს შორის კოორდინაცია სწორედ ეროვნული უსაფრთხოების სფეროში: ის, რაც ცალკეულ უწყებებში იქმნება, კარგია, მაგრამ აუცილებელია ეს ყველაფერი ერთმანეთთან ჰარმონიაში იყოს. სწორედ ამისთვის არსებობს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო და მის გარეშე ეროვნული უსაფრთხოების დაგეგმვის, მენეჯმენტის პროცესი ვერ წარიმართება. ამ ფუნქციას ვერ შეითავსებს ვერც მთავრობა და ვერც რომელიმე უწყება“.

ანალიტიკოსებს უჭირთ პასუხის გაცემა კითხვაზე, რა აფერხებს უსაფრთხოების მთავარი დოკუმენტის განახლებას. თეონა აქუბარდია, ამბობს, რომ გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის დროს, როდესაც თავად ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის პოსტს იკავებდა, პრემიერ-მინისტრთან არაერთგზის გაიგზავნა წერილი უსაფრთხოების კონცეფციაში ცვლილებების განხორციელების საჭიროების თაობაზე, ამავე თემაზე საუბრობდა პრეზიდენტიც, თუმცა „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდა პოლიტიკური ნება, 2021 წელშიც ვსარგებლობთ უსაფრთხოების ჩვენს გარემოსთან შეუსაბამო დოკუმენტით.

უკრაინას სამხედრო დახმარებას გაუზრდიან

აშშ-ის სენატის კომიტეტმა უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდას მხარი დაუჭირა. შესაბამისი კანონპროექტი 21 აპრილს განიხილეს.

როგორც კომიტეტის სხდომაზე პროექტის წარდგენისას დემოკრატმა სენატორმა, რობერტ მენენდესმა განაცხადა, უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაზრდა „დროული გზავნილია“. მისივე თქმით, უკრაინა უკვე შვიდი წელია იცავს თავს რუსეთის აგრესიისგან.

„როგორც ვიცით, უკრაინაში უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სიტუაცია უარესდება, ათასობით რუსი სამხედრო მობილიზებულია უკრაინის საზღვრებთან. ეს კანონპროექტი არის გზავნილი მთელი მსოფლიოსთვის, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინას“, — განაცხადა ბობ მენენდესმა.

პროექტი უკრაინისთვის 300 მილიონი დოლარის ოდენობით სამხედრო დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს. ეს თანხა განკუთვნილი იქნება მათ შორის ლეტალური იარაღის შეძენისთვის. კიდევ ოთხი მილიონი დოლარი კი უკრაინელი სამხედროების წვრთნებზე დაიხარჯება.

ბაიდენი სომეხთა მასობრივი მკვლელობის გენოციდად აღიარებას გეგმავს

აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი მე-20 საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში სომეხთა მასობრივი მკვლელობის გენოციდად აღიარებას. შესაბამის განცხადებას თეთრი სახლის ლიდერი 24 აპრილს გააკეთებს, როდესაც სომხეთში გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს აღნიშნავენ. თეთრ სახლში გამოცემის წყარო აცხადებს, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული და შესაძლოა, ბაიდენი შემოიფარგლოს ფორმალური განცხადებით, რომელშიც გენოციდის აღიარება არ იქნება ნახსენები.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სომეხთა გენოციდის აღიარების შემთხვევაში, ვაშინგტონისა და ანკარის ურთიერთობები მკვეთრად გაუარესდება. რამდენიმე დღის წინ თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მევლუთ ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ ჯო ბაიდენის ნებისმიერი ნაბიჯი 1915 წელს ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა მასობრივი მკვლელობის გენოციდად აღიარების შესახებ კიდევ უფრო დააზიანებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს. წინა წლებში ბაიდენის წინამორბედები — დონალდ ტრამპი და ბარაკ ობამა ამ საკითხზე საუბრისას სიტყვა „გენოციდის“ გამოყენებისგან თავს იკავებდნენ.



22 მარტს ორმოცამდე ამერიკელმა სენატორმა, მათ შორის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, პრეზიდენტ ჯო ბაიდენს ოსმალეთის იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის აღიარებისკენ მოუწოდა. მრავალი ისტორიკოსი და არაერთი ქვეყანა გენოციდად მიიჩნევს პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთის იმპერიაში 1,5 მილიონამდე სომხის დახოცვასა და დეპორტაციას. თურქეთი კი აცხადებს, რომ სომხებს შორის მსხვერპლი გაცილებით ნაკლები იყო და ეს მსხვერპლი მოჰყვა სამოქალაქო არეულობას და არა ოსმალეთის იმპერიის მიზანმიმართულ პოლიტიკას სომხების გასანადგურებლად.

დავუბრუნდეთ ფესვებს!..



ვინაიდან ძველი დროების მსგავსად, დღეს თბილისის ქუჩებში აღარ დგანან თეატრალური ბანერები და აღარც აფიშის გამკვრელები დადიან სათანადო ანტურაჟით, ყურადღება მიიქცია სოციალურ ქსელში მოთავსებულმა, დახვეწილი დიზაინით შედგენილმა აფიშამ სახელწოდებით, „სახლი“.

იუწყებოდნენ, რომ თანამედროვე ქორეოგრაფიის ცენტრი „იმპულსი“. ჯავახიშვილის ქ. 88), 7, 8 და 9 აპრილს მაყურებელს ორიგინალურ სანახაობაზე ეპატიჟებოდა. სპექტაკლი ეძღვნებოდა **მიხეილ კობახიძის** ხსოვნას. სცენარის ავტორი და რეჟისორი — **მანანა მენაბდე,** დამდგმელი ქორეოგრაფი — **თინათინ ქოიავა,** მუსიკის ავტორი — **დავით თავაძე,** მხატვარი — **გოგი მიქელაძე.**

თუკი შედეგებზეც ვიტყვით, სპექტაკლის არაორდინალურობა განსაზღვრა ე. წ. ივგავურმა თხრობამ და მრავალი საფიქრალი აღძრა.

შემოქმედებით ჯგუფს მეორე დღესვე გამოეხმაურა არქიმანდრიტი ადამ-ვახტანგ ახალაძე, თამარ მეფის უნივერსიტეტის რექტორი, მეცნიერების დოქტორი, პროფესორი...

გთავაზობთ მამა ადამის წერილს.

სული რომ მღერიდეს...

სცენარის ავტორი და რეჟისორი მანანა მენაბდე...

სახლი და თეატრი

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი?“ – ვკითხულობთ, თუმც ვიცით, რომ ამ კითხვაზე პასუხს არც ჩვენ და არც არავინ ელოდება. პასუხის გაცემა ყოფა-წუთისოფელზე რეფლექსიაა“ შემოქმედისთვის საფიქრალიც, აზარტიც, სიამეც, ლტოლვაც და კიდევ, ვინ მოთვლის, რამდენი რამ. „მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი?“ – ისევ მესმის. მახსენდება: „ჩვენი ყოფა-წუთისოფელი ხომ თეატრია!“ ისიც მახსენდება, რომ სახლია ჩვენი ყოფა-წუთისოფლის რომი, საითკენაც ყველა ჩვენი გზა და ბილიკი მიდის: „სახლი კაცის სამყოფელია, საცხოვრისია, სამკვიდროა, საბინადროა. ვინ იცის, რამდენი ცხოვრებისა და სიცოცხლის მოწმე-მნახველია, რა წვალებით – მართვე-ბარტყების დასაფრენი ბუდე და წერის რარიგი სიმწრიანი ატანითა და უწყალო ჟამის რაგვარი თმენით ლეკვ-ბოკვრების გამომზრდელი ბუნაგი.“ ვიდრე ვფიქრობ და მახსენდება, ჩემს თვალწინ სცენაზე სპექტაკლი თამაშდება, სპირალივით სპექტაკლი. სპირალში კი ყოველი ხვეული ხომ წინას ჰგავს, ოღონდ ათვლის წერტილს წინაზე მეტადაა დაშორებული ან... დაახლოებული. ჩვენი სპექტაკლის ყოველი სურათი-ხვეული მხოლოდ გაუწაფავი თვალისთვის ჰგავს წინას, აი, ათვლის წერტილს კი – სათქმელს – შეუმჩნევლად უახლოვდება, მაგრამ იქნებ შორდება? მაყურებლის სკამზე რომ ზიხარ, უბრალოდ, გჯერა, რომ მეტს გაიგებ, მიუახლოვდები, ოღონდ დარწმუნებული არ უნდა იყო ამაში: ვინ იცის, რას გიმზადებს რეჟისორი. ოღონდ მეექვსედ, თუ, არ ვიცი, მერამდენედ რომ შეუყვები ხვეულ კიბეს, თავბრუ კი არ გესხმის, ღიზიანდები – აკი არ სჩანს კიბის ბოლო, არც ამოსასუნთქი ბაქანი სადმე. ოღონდ გაღიზიანებას არ იმჩნევ – ასე უცებ ხომ არ დანებდები რეჟისორს. იმაზეც ვფიქრობ, რომ კარგია იმისთანა ექსპერიმენტული თეატრი, მაყურებელს სპექტაკლში ჩართვა რომ შეუძლია, – რამეს წამოვიძახებდი მაინც. ასე არ ვიქცევი, როდესაც მბეზრდება უფერულ დღეთა წყებანი?! ვყვირი, ვტირი, მუშტით ვამსხვრევ სარკეს... და ამ დღეთა უღელადგმული, მორჩილად მივუყვები წყებებს – ამაზე უკეთეს ადგილას სად უნდა იყო ან კი – სახლსა და თეატრში. .

დუალიზმი კი არა, დიქოტომია და ბისექცია

თავიდან მეც მეგონა, რომ სპექტაკლის **მსოფლმხედველობა ყოფის (სამყაროს) დუალიზმს ეფუძნებოდა: ცხადი და სიზმარი, ნათელი და ბნელი, ეგო და ანტიეგო, რეალობა და თეატრი, სახლი და ქუჩა, ძილი და ღვიძილი, მსახიობი და მაყურებელი, სიჩუმე და ხმაური, სიკეთე და ბოროტება, ყოფიერება და ცნობიერება, ქაოსი და წესრიგი, მუსიკა და ხმაური...** მერე ყველაფერი გამთლიანდა თითქოს, გარკვეული ხნით მაინც, და ამის მერე კი (ზუსტად როდის?) ყველაფერი მოულოდნელად თუ სავსებით მოსალოდნელად ისევ გაიხლიჩა; გაიბზარა იმგვარად, როგორც ჰაინრიხ ჰაინეს **უთქვამს: „სამყარო გაიპო ორად და ამ ბზარმა პოეტის გულზე გაიარაო“.** სცენის სამყარო, მისი ყველა შემადგენელი ნაწილი ორ-ორად გაიყო და შემეშინდა, ამ გაორებების ნაპრალს საზღვარი არ დაერღვია და დარბაზში გადმოსულს, მაყურებელიც. მეც, არ გავეხლიჩე... აკი, სამყაროზე მოფიქრალი ადამიანის შინაგან სამყაროს სულ ემუქრება ეს დიქოტომია თუ ბისექცია. ბისექციით პრეპარირებულობის შედეგი კი ისაა, რომ ერთს აკეთებ და მეორე გინდა, თუ პირიქით – ერთი გინდა და მეორეს აკეთებ, მაგრამ ყოველთვის აფასებ და არ უფრთხილდები, გიყვარს და შორდები, გედარდება და იკიდებ, მიისწრაფვი და გძინავს, გტკივა და გარბიხარ, სული გეხუთება და მზეს ეფიცხები... მაშინ „ლოგიკური“ გამოსავალიც დგება, როგორც განაჩენი: შენი ყოფიერება უნდა გამოფატრო და შიგნეულობიდან ამოიყარო ყველაფერი, არსებობის გარდა. მხოლოდღა უნდა დაიძინო, გაიღვიძო, ყავა ან ჩაი დალიო, წაივარჯიშო, ჩაიცვა და მაინც ნახევრადშიშველი დარჩე, ვინმეს დაურეკო და არ მოიკითხო (მერე რა, რომ ტელეფონი სცენიდან დაუნდობლად განდევნა რეჟისორმა?! ის, უგულებელყოფილი, მაინც რეკავს!), ფანჯრები გამოაღო, შენი საცხოვრისის გაუსაძლის სიჩუმეში ცოტა ხნით შემოუშვა ცხოვრების ხმაური და შენი სართულის სიმაღლიდან დანახული სურათები. ყველაფერს გამოიფატრავ, რასაც ბასრი იარაღი მისწვდება, ყველაფერს სულის გარდა. ამიტომაც მიუჯდები სასულე ინსტრუმენტს და უკრავ, ოღონდ ძალიან ცოტა ხანს – მეტის დრო სად გაქვს?! ცხოვრება მიჰქრის! „მაინც რა არის ჩვენი ყოფა – წუთისოფელი?“ ის კი პასუხს არ ელოდება და მიჰქრის.

ჩანაფიქრზე და არა მხოლოდ მასზე...

სპექტაკლი (საზოგადოდ – ხელოვნების ნაწარმოები) რთული, განუსაზღვრელი ინტეგრალია. იგი შედგება მხოლოდ მაშინ, თუ მოხერხდა, უამრავი სტიქიონის (ბერძ. Stoicheion – ელემენტი) შეერთება-შერწყმა-შერევა-შეზავება-შედღვებისგან, რომელთა ცალ-ცალკე პრეპარირება-დასახელება-გამოთვლა-აღწერა-დახასიათება-აღნუსხვა მიუღწეველი ამოცანაა. თუმცა, ცდა ღირს, რადგან იგი ბედის მონახევრეცაა და რეცენზია-გამოხმაურების დაწერის უცილობელი პირობაც. რეჟისორ მანანა მენაბდის „სახლი“ დაყურსულია და ბევრისმთქმელი, ცეკვები დადგა ექსპერიმენტალური თეატრის „იმპულსის“ ახალგაზრდა და ნიჭიერმა მთავარმა ქორეოგრაფმა თინათინ ქოიავამ, მუსიკა ეკუთვნის – ახალგაზრდა ნიჭიერ კომპოზიტორს დავით თავაძეს, (რომელიც უკვე მეორედ მუშაობს მანანა მენაბდესთან), სცენოგრაფია ეკუთვნის ცნობილ და უკვე გამოცდილ კინოსა და თეატრალურულ მხატვარს გოგი მიქელაძეს, მხატვრის ასისტენტია თამაზ ბოჭოიძე, ხმის რეჟისორი – მათე კვირაია, განათება - გიორგი შურღაია. ყველაფერი ეს –- რეჟისურა, ქორეოგრაფია, მხატვრობა, მუსიკა, სინათლე, ინტეგრირებულია სპექტაკლის ავტორთა მსოფლმხედველობრივ, ესთეტიკურ, ეთიკურ, მხატვრულ ჩანაფიქრთან. რაგვარია ეს ჩანაფიქრი?

მივყვეთ. მსოფლმხედველობრივი: რეფლექსია ადამიანის იდენტობაზე თანამედროვეობის სოციალურ-კულტურულ კონტექსტში.

ესთეტიკური: დახატოს პერსონაჟ(ებ)ი და მისი (მათი) ყოფა აბსურდიზმის თეატრალურ განზომილებაში იმგვარად, რომ მაყურებელმა გაისიგრძეგანოს ეს აბსურდი და მისი „არალოგიკურობა“ დისკომფორტის გაჩენის ჩათვლით. ეთიკური: მორალური კატეგორიებისა და ცნებების პირდაპირი დემონსტრირების გარეშე წარმოგვიდგინოს თანამედროვე ადამიანის ხშირად მიზანდაუსახავი, ამაღლებულისგან დაშრეტილი არსებობა, ელემენტარული ემოციების მოძალება, მარიონეტულ თოჯინებთან მიმსგავსებულობა, მოწყვლადი სულიერება და სხეულებრიობა. მხატვრულ ჩანაფიქრსაც მივადექით. აი, ამ საკითხზე მსჯელობისას ზემოთქმულზე უფრო უპრიანია იმის აღნიშვნა, რომ აქ ჩვენ შეგვიძლია გამოვხატოთ ჩვენი, როგორც მაყურებლის პოზიცია და დავასურათხატოთ ჩვენს როგორც მაყურებლის მიერ აღქმული სცენიური სამყარო. მაყურებლისეული აღქმა კი, ის, რასაც ჩვენ ვჭვრეტთ მზა სპექტაკლში, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ჩვენს გამოცდილებასა და წარმოდგენის უნარზე. მხატვრის მიერ შექმნილის გათავისება, გასიგრძეგანება მოითხოვს იმავე ყაიდის ემოციურ, ინტელექტუალურ და მხატვრულ საკეთებელს, რაც დასჭირდა ნაწარმოების შესაქმნელად მის ავტორებსა და შემსრულებლებს. ამდენად, არ გვაქვს რა პრეტენზია ამგვარ გათავისებაზე, მხოლოდ ჩვენს მოსაზრებას გამოვთქვამთ იმის თაობაზე, თუ რაგვარი მარცვლიდან (ჩანაფიქრიდან) აღმოცენდა სპექტაკლი „სახლი“. ეს გახლავთ ნაწარმოები-გაფრთხილება საკუთარი თავის (ადამიანობის) პოვნის აუცილებლობაზე, საკუთარ თავს (ადამიანობას), მაშასადამე შენი (ადამიანის) დანიშნულებისგან გაქცევის აბსურდსა და ტრაგიფარსზე, საკუთარი თავის (შენი ადამიანად ყოფნის) გადარჩენისთვის, ფესვებთან მიბრუნების აუცილებლობაზე...

ტკივილებს გარიდებულთა ტკივილები, ისტორიული თუ მეხსიერებითი ძიებები ვერ ამოწურავს იმას, რაც მაყურებელმა უნდა იგრძნოს და აღიქვას; მაყურებელმა, რომელიც თეატრში შემოქმედებითი პროცესის სუბიექტი (ავტორი) ხდება. სპექტაკლ „სახლის“ ყურების დრო და სივრცე სავსეა რემინისცენციებით, ალუზიებით, ციტატებით, გახსენებებით. ეს ბუნებრივიცაა; მით უფრო, რომ სპექტაკლი დიდი კინომაესტროს მიხეილ კობახიძის ხსოვნას ეძღვნება. ის, ვისი კინოიდენტობა უპირველესად, „ქორწილითა“ და „ქოლგითაც“ იქმნებოდა, უფრო მეტს ხედავს და უფრო მეტი ესმის, ვიდრე სინამდვილეშია „სახლში“.

მაგრამ ახლა, დღევანდელი გადასახედიდან, ფანჯარაში შემოჭრილ გასული საუკუნის სამოციანი წლების თბილისურ ხმაურში,ხელოვანის საგედისწერო, ტრაგიკული კაკაფონიის ამოცნობაც გინდება და დაგვიანებული ნგრევის გამო სინანულის წინასწარმეტყველებისაც. ამ ტკივილებს თითქოს გაგვარიდეს სპექტაკლის ავტორებმა და ამით უფრო გაგვიმწვავეს თეატრალურ სცენაზე უზუსტესი ქორეოგრაფიული და პანტომიმური მოძრაობებით გაცოცხლებული კინოეკრანული და თეატრალური პერსონაჟები.

მათ განასახიერებენ მსახიობები: **გიორგი გობეჯიშვილი, ანარ მამედოვი, ანა კაზანაშვილი, სალომე მაზმიშვილი, ემილია გამბაროვა, ნუნუ ღიბრაძე და თამარ წიკლაური.** მოქმედი გმირები თავდავიწყებით, დაუფიქრებლად მისცემიან ცხოვრების უმოძრაობას, რაც მაყურებელში პროტესტს და ცვლილებებისკენ მოწოდების სურვილს აღძრავს: **„სადამდის? ასე აღარ შეიძლება!“ ამიტომაცაა მიზანი მიღწეული.**

სული და ფესვები

თითოეულ ადამიანს უდგება ცხოვრებაში წამი, როდესაც აღმოაჩენს, რომ არსებობს, მაგრამ ცხოვრებას კი არა, სიცოცხლესაც ვერ დაარქმევ ამგვარ ყოფას, **როცა შენი სული არ ჰყოფნის სასულე ინსტრუმენტის აკვნესებას.** აქამდე კი მოგწონდა რაგვარადაც აახმოვანებდი და ჯიუტად ფიქრობდი, რომ ამას შენ თავად ახერხებდი; აიღებდი ხელში საკრავს, თითებს სათითეებზე დააწყობდი, მუნდშტუკში ბაგეებთან მიიტანდი და ჩაჰბერავდი. ამ ჯერზე ყველაფერი სხვაგვარადაა. წინაპრების სახლის სული გკარნახობს, რომ ის, რაც შენ უნდა ამოთქვა, ბევრად მეტია და ამიტომ შეუდარებლად ძნელიც. ამისთვის შენი სული უნდა ამღერდეს. იმისთვის კი, სული რომ ამღერდეს, შენს ფესვებს უნდა დაუბრუნდე.



მამა ადამ-ვახტანგ ახალაძე,

2021 წლის 8-10 აპრილი

ჭიდაობა



მედლებით, მაგრამ უჩემპიონოდ

პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში დასრულდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი. ქართველმა ფალავნებმა ამ შეჯიბრებაში ხუთი ჯილდო მოიპოვეს — ერთი ვერცხლისა და ოთხი ბრინჯაოს მედალი. მხოლოდ ფინალური პაექრობა დათმო და მეორე ადგილზე გავიდა სანდრო ამინაშვილი (86 კგ), ხოლო ბექა ლომთაძე (61 კგ), ნიკა კენჭაძე (79 კგ), ელიზბარ ოდიკაძე (97 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ) მესამე ადგილებს დასჯერდნენ.

86 კილოგრამ წონით კატეგორიაში სანდრო ამინაშვილმა სტარტზე იტალიელი სიმონე იანატონი დაჯაბნა (11:0), მერე იოლად გაუმკლავდა (5:1) პოლონელ სებასტიან იეზიერჟანსკის, ნახევარფინალში ბელარუს ალი შაბანაუს მხოლოდ ერთქულიანი უპირატესობით (3:2) მოუგო, მაგრამ გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რუს არტურ ნაიფონოვთან ვერაფერს გახდა (0:8) და ვერცხლის მედალი ხვდა.

ბექა ლომთაძემ (61 კგ) ზედიზედ დაამარცხა ბელარუსი ჯიმჩიკ რინჩინაუ (12:0) და მოლდოველი ლეომნიდ კოლესნიჩი (14:8), ნახევარფინალში კი ჩვენებურის წინსვლა უკრაინელმა ანდრეი ჟელეპმა შეაჩერა. ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში ბექამ აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვს მოუგო (9:7).

79 კილოში ნიკა კენჭაძემ ორი მეტოქე ჩამოიშორა გზიდან — უკრაინელი ვალენტინ ბაბი (10:5) და რუსი მალიკ შავაევი (4:3), ნახევარფინალში სლოვაკ ახსარბეკ გულაევთან ქულით წააგო (4:5), მესამე ადგილისთვის პაექრობაში კი სომეხ არმან ავაგიანს 47 წამში აჯობა (10:0). 97 კილოში მსგავს წარმატებას მიაღწია ელიზბარ ოდიკაძემ: რადუ ლეფტერისა (მოლდოვა, 10:0) და ალიაკსანდრ ჰუშტინის (ბელარუსი) ძლევის შემდეგ ჩვენებურს თურქი სულეიმან კარადენიზი გადაეღობა, ბრინჯაოს მედალი კი აზერბაიჯანელი შამილ ზუბაიროვის დამარცხებით მოიპოვა.

ჩემპიონატზე საქართველოს დელეგაციას ბოლო ბრიჯაოს მედალი მძიმე წონაში (125 კგ) მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა გენო პეტრიაშვილმა მოუტანა. ქართველმა ფალავანმა სტარტზე მთავარ კონკურენტ ტაჰა აკგულთან (თურქეთი, 1:6) წააგო. რადგანაც თურქი ფინალში გავიდა, გენო დამამშვიდებელ ჯგუფში მოხვდა, სადაც პოლონელი კამილ ტომაშ კოშჩიოლეკი (9:0) და ბელარუსი ძიანის ხრამიანკუ (12:9) დაჯაბნა და მესამე ადგილზე გავიდა.

ნინო ახობაძე

ფარიკაობა

მადრიდი 6 ლიცენზიატს დაასახელებს

გასული საუკუნის 50-60-იანი წლებიდან საერთაშორისო სარბიელზე ქართველმა მუშკეტერებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს: ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ ნუგზარ ასათიანი და ვლადიმერ აფციაური, ოლიმპიადებზე ორჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა გურამ კოსტავამ; მსოფლიოს ჩემპიონატების უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გურამ კოსტავა, ნუგზარ ასათიანი, ვლადიმერ აფციაური და იური ოსიპოვი.

ახალგზრდების მსოფლიოს ჩემპიონატებში გაიმარჯვეს ნიკოლოზ ანდრიაძემ და გურამ ლორთქიფანიძემ. სხვადასხვა წლებში არაერთხელ უსახელებიათ თავი რევაზ ცირეკიძეს, მორის სახვაძეს, ძმებს — გიორგი, კოტე და არჩილ გოგელიებს. მათს ნაკვალევზე დღეს ახალგაზრდები იზრდებიან. განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ლიცენზიატი, ხმლით ფარიკაობაში ახალგაზრდებს შორის ევროპის სამგზის ჩემპიონი, უფროსებში — კონტინენტის პირველობების ოთხგზის პრიზიორი სანდრო ბაზაძე, რომელიც ამჟამად მსოფლიოს კლასიფიკაციაში 143 ქულით მე-7 ადგილზეა.

ტოკიოს წლევანდელი თამაშების საგზურის მოპოვების შანსი მომავალ შაბათ-კვირას საქართველოს ოთხ მოფარიკავეს მიეცემა — 24-25 აპრილს ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში სალიცენზიო ტურნირზე ევროპის კონტინენტიდან ოლიმპიადის ბოლო ექვსი საგზური გათამაშდება. ამ შეჯიბრებაში ძალებს მოსინჯავენ ხმლით ფარიკაობაში ევროპის 2017 წლის ჩემპიონი, მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი თეოდორა კახიანი, რომელიც 25.5 ქულით რეიტინგში ამჟამად 63-ე ადგილზეა; რაპირით 23-წლამდელთა ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ლუკა ღაღანიძე (15 ქულით 97-ე), ასევე, დაშნით მოფარიკავეები — ვალერია დვინინა (0.5 ქულით 375-ე) და გიორგი კუდრიავცევი (1.5 ქულით 357-ე).

მადრიდში ორთაბრძოლები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ყოფილი პრეზიდენტის, მარკიზ ხუან ანტონიო სამარანჩის სახელობის მუნიციპალურ სასპორტო ცენტრში გაიმართება.

თამარ აფციაური

ფეხბურთი

სანამ ლიგა ისვენებს

უკვე ვწერდით, რომ დასრულდა „კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგის პირველი ნახევარი. ჩემპიონატს 22 ქულით თბილისის „დინამო“ ლიდერობს, რომელიც უახლოეს მდევარს — ბათუმის „დინამოს“ 4 ქულით უსწრებს. გასაკვირი ის არის, რომ ეროვნული ლიგის მოქმედი ჩემპიონი და წლევანდელი პირველობის მთავარი ფავორიტი საქართველოს დავით ყიფიანის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალში ქობულეთის „შუქურასთან“ 0:1 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა. საგულისხმოა ისიც, რომ ჩემპიონატის ბოლო ტურის ცენტრალური შეხვედრა გორში „დილასა“ და ბათუმის „დინამოს“ შორის მაპინძელთა გამარჯვებით (2:1) დასრულდა.

წლევანდელი ჩემპიონატის პირველ წრეში რამდენიმე საინტერესო მომენტის მოწმენი გავხდით. ერთ-ერთი გამორჩეული, ალბათ, იძულებითი 8-თვიანი უქმობის შემდეგ მწვანე მინდორზე გიორგი კოხრეიძის გამოჩენა იყო. ეროვნულ ჩემპიონატს დაუბრუნდა საქართველოს ნაკრების წევრი და ჰოლანდიური „ვიტესის“ ყოფილი კაპიტანი გურამ კაშია, რომელმაც „ლოკომოტივთან“ გააფორმა კონტრაქტი და მის შემადგენლობაში რამდენიმე ბურთიც შეაგდო. ლევან მჭედლიძემ ამ სეზონში ბათუმის „დინამოს“ მიაშურა, მისი მაისური მოირგო და რამდენიმე მატჩში თავიც

გამოიჩინა. საქართველოს პირველობას უბრუნდება ჯანო ანანიძეც. იგი ამჟამად თბილისის „დინამოს“ ბაზაზე ვარჯიშობს და მალე, ალბათ, კონტრაქტსაც გააფორმებს. წყალტუბოს „სამგურალში“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ქართული ფეხბურთის გამორჩეული სპეციალისტი სოსო ფრუიძე, რომელმაც პირველსავე შეხვედრაში ქუთაისის „ტორბედოსთან“ თავის გუნდს 3 ქულა მოაპოვებინა.

გული დაგვწყვიტა იმან, რომ საფეხბურთო კარიერა დაასრულა დავით ოდიკაძემ, რომელიც ეროვნულ ლიგაში პირველად 1996 წელს გამოჩნდა და საქართველოს სხვადასხვა კლუბის სახელით 472 მატჩში 76 გოლი მიითვალა.

პირველი წრის დასრულების შემდეგ საუკეთესო მწვრთნელის სახელი გორის „დილას“ თავკაც ანდრეი დემჩენკოს ხვდა, ხოლო თბილისის „დინამოს“ სერბი ცენტრალური თავდამსხმელი ზორან მარუშიჩი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

უნდა ითქვას ისიც, რომ საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი გამოირჩევა ღია, სანახაობრივი ფეხბურთით, რასაც დიდი ხანი ელოდა ჩვენი გულშემატკივარი. ბევრი დაძაბული და დრამატული შეხვედრა ვიხილეთ, თუმცა ნაკლები უხეშობით, ყვითელი და წითელი ბარათებით. იმედია, ჩემპიონატის დარჩენილი ნახევარი გაცილებით უფრო საინტერესო იქნება. მეორე წრე 28 აპრილს გორის „დილას“ და „სამტრედიის“ მატჩით განახლდება.

ლუკა გურჯალიანი

ჭადრაკი

მეტოქეები ფრთხილობენ

მოჭადრაკე ვაჟთა საქართველოს მე-80 საიუბილეო ჩემპიონატში, რომელსაც თბილისის ჭადრაკის სასახლე მასპინძლობს, წრიული სისტემით სხვადასხვა კუთხის 10 წარმომადგენელი მონაწილეობს, მათ შორის — ერთი ქალი და ცხრა მამაკაცი. უკვე გათამაშდა ორი ტური.

სტარტზე მეტოქეები ფრთხილობენ, რასაც ისიც მოწმობს, რომ ათი პარტიიდან რვა შეხვედრა ზავით დასრულდა, მხოლოდ დიდოსტატმა ლევან ფანცულაიამ მოიპოვა ზედიზედ ორი გამარჯვება — ჯერ შოთა აზალაძეს მოუგო, ხოლო მერე ნოდარ ლორთქიფანიძეს აჯობა. ყაიმზე შეთანხმდნენ:

I ტურში: ნოდარ ლორთქიფანიძე — ლუკა პაიჭაძე, კონსტანტინე შანავა - მერაბ გაგუნაშვილი, გიგა ყუფარაძე — ნიკოლოზ კაჭარავა, ნიკოლოზ პეტრიაშვილი — მერი არაბიძე;

II ტურში: აზალაძე— არაბიძე, კაჭარავა — პეტრიაშვილი, გაგუნაშვილი — ყუფარაძე, პაიჭაძე — შანავა.

მარიამ ქორჩილავა

წყალბურთი

10 წუთში დაკარგული შანსი

ბუდაპეშტში სამ დღეს გრძელდებოდა წყალბურთელ ვაჟთა მნიშვნელოვანი ტურნირი — ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპი, რომელშიც თბილისის „დინამოც“ მონაწილეობდა. ასპარეზობის პირველ დღეს ჩვენებმა დაამარცხეს ჰერცეგ ნოვის (მონტენეგრო) „იადრანი“ (პირველ წრეშიც დინამოელებმა მონტენეგროელებს სამი ბურთის სხვაობით სძლიეს — 11:8) და ფინალურ ეტაპზე რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის რეალური შანსი გაუჩნდათ.

შეგახსენებთ, რომ, ევროპის საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გადაწყვეტილებით, მედლები წლეულს 3-5 ივნისს გერმანულ ჰანოვერში ჯგუფებიდან 4-4 საუკეთესოს შორის უნდა გათამაშებულიყო. B ჯგუფში ერთი საგზური გარანტირებული ჰქონდა მასპინძელ „ვასპო-98-ს“, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გერმანელებმა სხვადასხვა ობიექტური მიზეზით ჰანოვერში ფინალური ეტაპის გამართვაზე უარი თქვეს. მასპინძლობის სურვილი გამოთქვა სერბეთის დედაქალაქის ახალმა კლუბმა „ნოვი ბეოგრადმა“, რომელმაც ამ ჟესტით ჩემპიონთა ლიგის ფინალურ ეტაპზე ორწლიანი გამოსვლის უფლება დაიმსახურა.

ახალი გარიგებით, თბილისის „დინამოსაც“ გაუჩნდა ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი, საამისოდ კი უნგრულ ტურნირზე ორი მატჩის მოგება იყო აუცილებელი, მათ შორის — ჰანოვერელებთან. პირველ დღეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეიან სტანოიევიჩის შეგირდებმა ჰერცეგ ნოვის (მონტენეგრო) ტიტულოვანი გუნდი — ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის თასის ვერცხლის პრიზიორი, ორჯერ რეგიონულ ჩემპიონატებში გამარჯვებული „იადრანი“ 13:10 (4:3, 2:1, 4:2, 3:4) დაამარცხეს. მიზნის მისაღწევად ერთი ბარიერის გადალახვაღა იყო საჭირო. ჰანოვერის „ვასპო-98-თან“ დაპირისპირებისას სამი პერიოდის შემდეგ ოცნების აღსრულება, თითქოს, მიუღწეველი არ ჩანდა, რადგან მესამე რვაწუთიანი მონაკვეთის მეექვსე წუთისთვის ჩვენი წყალბურთელები სამი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ — 6:3. მატჩის ბოლო 10 წუთში, სამწუხაროდ, დინამოელებმა მეტოქის კარის აღება ვერ შეძლეს, ალემანებმა კი ამ დროის განმავლობაში ოთხი უპასუხო ბურთი მიითვალეს და 7:6 (1:1, 2:2, 1:3, 3:0) გაიმარჯვეს.

ამდენად, 3-5 ივნისს ბელგრადში მთავარი პრიზისთვის იბრძოლებენ: **A ჯგუფიდან** — „პრო რეკო“ (იტალია), „იუგი“ (ხორვატეთი), „ოლიმპიაკოსი“ (საბერძნეთი) და „მარსელი“ (საფრანგეთი); **B ჯგუფიდან** — „ტელეკომი“ (უნგრეთი), „ბარსელონეტა“ (ესპანეთი), „ბრეშა“ (იტალია), „ვასპო-98“ (გერმანია).

სალომე დათუნაშვილი

გვერდი მოამზადეს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტებმა.

ხელოვნების იშვიათ საცავს აღადგენენ

კულტურის მინისტრის ინიციატივით შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენა იწყება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა, თეა წულუკიანმა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ სამინისტროს ინიციატივით, მუზეუმის აღდგენა იწყება, — ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს.

„დღეს, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის აღდგენა იწყება. მრავალი წელია, ეს მუზეუმი აღარ არსებობს, ის დაკეტილია. არადა, ამ მუზეუმში თავის დროზე ჯამში 140 ათასამდე უნიკალური ექსპონატი იყო დაცული. პირველი ამოცანა ფონდების აღრიცხვა, დადარება და იმის დადგენა იქნება, თუ რა ჩაბარდა იმ სამუშაო ჯგუფს, რომელიც მუზეუმის აღდგენის სამოქმედო გეგმაზე იმუშავებს“, — განაცხადა მინისტრმა.

თეა წულუკიანმა ახსნა, რომ გამოცემულია კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2021 წლის 19 აპრილის ბრძანება, რომლის თანახმადაც, ეროვნული მუზეუმის ბაზაზე ყალიბდება 4 მუზეუმი/მუზეუმთა ჯგუფი: **1. შალვა ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმი, ეროვნული გალერეა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი; 2. სპორტის მუზეუმი; 3. გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი; 4. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი, რომელიც ასევე მოიცავს ყველა დანარჩენ მუზეუმს.**

ეროვნული მუზეუმის მმართველი ორგანო კი გახდება ამ მუზეუმთა ჯგუფის დირექტორთა 4 კაციანი საბჭო. დირექტორატის საქმიანობის კოორდინაციას ეროვნული მუზეუმის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი გაუწევს. თუმცა, ზემოხსენებული 4 მუზეუმის ჯგუფის ხელმძღვანელებს მათდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფონდების, კოლექციებისა და საკადრო რესურსის მართვა დამოუკიდებლად შეეძლებათ.

„ხელოვნების მუზეუმის აღსადგენად ძალიან დიდი ადამიანური და ფინანსური ძალისხმევა იქნება საჭირო. დღეს, ჩვენ არ ვიცით და გამოსარკვევია, თუ რა მდგომარეობაშია გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო - ხახულის ღვთისმშობლის სამკარედი ხატი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი, ანჩის მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, ზარზმის ღვთისმშობლის ხატი და სხვა, ჩვენი ქვეყნის კულტურული იდენტობისათვის ეს უმნიშვნელოვანესი სიწმინდეები. ჩვენ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას იუნესკო-სთან და ივნისამდე ჩვენს ქვეყანას ეწვევა სამი უცხოელი ექსპერტი, ვინც ქართველ ექსპერტებთან ერთად შეაფასებს ამ ხატების მდგომარეობას და გასცემს პასუხს ისეთ კითხვებს, როგორიცაა: შეიძლება თუ არა მათთან შეხება და მათი გადაადგილება ისე, რომ ხატები არ ჩამოიშალოს ან სხვაგვარად არ დაზიანდეს; არის თუ არა კოროზიის პროცესი შორს წასული და თუ არის, როგორი და რა მეთოდით მოპყრობის საშუალება გვეძლევა ამ ხატებთან; პარალელურად, მიმდინარეობს ტენდერი, რომლის შედეგადაც შალვა ამირანაშვილის მუზეუმის შენობის მდგრადობის სიღრმისეული ექსპერტიზა ჩატარდება“, — განაცხადა თეა წულუკიანმა.

მოცემული პროცესებისა და სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად კულტურის მინისტრმა სამკაციანი ჯგუფი წარადგინა: **ნიკა ახალბედაშვილი,** იუსტიციის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, რომელიც წლების მანძილზე საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს წარმატებით ხელმძღვანელობდა; **ნელი კობიაშვილი,** ცნობილი ჟურნალისტი და ნიკო ფიროსმანის მკვლევარი, რომლის დამსახურებაც განუზომელია ფიროსმანის ერთ-ერთ ნახატის მიკვლევასა და მისი ბიოგრაფიის უცნობი დეტალების უტყუარად დადგენის საქმეში; **გია მარსაგიშვილი,** ღვაწლმოსილი მეცნიერი, ხელოვნების მუზეუმის ერთგული თანამშრომელი ბოლო 26 წლის განმავლობაში.

ბოლოს, კულტურის მინისტრმა პატივი მიაგო შალვა ამირანაშვილის ხსოვნას და მადლობა გადაუხადა ხელოვნების მუზეუმის ყოფილ და მოქმედ თანამშრომლებს, საგანძურის დაცვის საინიციატივო ჯგუფს, განსაკუთრებით კი მის წევრს, ჟურნალისტ **ნინო მიქიაშვილს.**

„დღევანდელ დღეს კი ჩვენ **ვუძღვნით ქალბატონ ელენე კავლელაშვილს, ხშირად დაჩაგრულს, მაგრამ მაინც მარტოდ მამაცად მებრძოლს, რომელიც წლების მანძილზე საგანძურს საკუთარი ჯანმრთელობის ხარჯზე იცავდა, და რომელიც, გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტმა თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა. ის განისვენებს წმინდა ადგილას, მცხეთაში, საქართველოს დიდი პატრიარქის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით“,** —აღნიშნა თეა წულუკიანმა.

სანთელი

სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი

ლაშა კუჭუხიძე

ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

სამოქალაქო პანაშვიდი: 23 აპრილს, მისამართი: „დირსის დასახლება“, შოთა ნადირაშვილის № 24, კორპუსი 22/ა, ბინა № 140 (ჩასახვევი ბერი გაბრიელ სალოსის № 127, ყოფილი 5 დეკემბრიდან) გამოსვენება: 25 აპრილს 14 სთ-ზე.

განცხადება

შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი აცხადებს ღია კონკურსებს ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში:

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად;
2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის „მედიცინის განყოფილების“ ხელმძღვანელის არჩევის მიზნით.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვებ-გვერდზე.
ვებ-გვერდი: **www.geomedi.edu.ge**
ელ.ფოსტა: **info@geomedi.edu.ge**

ტელ.: 2 75 25 20

მეხანძრე-მაშველებს პროფესიული მომზადების კურსი ჩაუტარდათ

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებმა მეხანძრე-მაშველთა საბაზისო სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მომზადების კურსი გაიარეს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, სწავლება შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ინსტრუქტორებმა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ სიტუაციებზე რეაგირების ბაზაზე ჩაატარეს. კურსი მოიცავდა, როგორც პრაქტიკულ, ასევე, თეორიულ ნაწილს. მეხანძრე-მაშველების კანდიდატები სამი კვირის განმავლობაში სახანძრო და საავარიო-სამაშველო აღჭურვილობის გამოყენების წესებს, სამაშველო და სახანძრო ტაქტიკის საკითხებს, პირველადი სამედიცინო დახმარების ჩატარების მეთოდებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს გაეცნენ.

სწავლებაში სახანძრო-სამაშველო ძალების დეპარტამენტის გამოსაცდელი ვადით დანიშნული 17 თანამშრომელი მონაწილეობდა. კურსის წარმატებით გავლის შემდეგ, მონაწილეებს სერტიფიკატები გადაეცემათ და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში მეხანძრე-მაშველის პოზიციაზე დაინიშნებიან.

„ქართული წიგნის სათავეები

თბილისის მერიისა და იუნესკოს პროექტის „თბილისი — წიგნის მსოფლიოს დედაქალაქი“ ფარგლებში, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გამოფენა „ქართული წიგნის სათავეები“ გაიხსნა. თბილისის მერიის ინფორმაციით, გამოფენა ორნაწილიანია და ხელნაწერთა ცენტრის საცავებში დაცულ მნიშვნელოვან მასალას აერთიანებს. ღონისძიებას თბილისის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია დაესწრო.

„სახელმწიფო ენის დღე თბილისის მერიამ საინტერესო ღონისძიებით აღნიშნა. ეს გამოფენაც ამ დღის ერთგვარი გაგრძელებაა და მოხარული ვარ, რომ ჩვენს მოქალაქეებს და თბილისის სტუმრებს, საქართველოს ისტორიულ სიმდიდრეს ამ სახითაც წარმოვუდგენთ. ორ დღეში თბილისი იუნესკოს პროექტის „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ მასპინძელი გახდება, რომლის ღირსეულად ჩატარების მისიაც თბილისის მერიას აქვს აღებული. მჯერა, რომ მომავალი წლის ამ დროისთვის ჩვენი საზოგადოება, ჩვენი მომავალი თაობა, კიდევ უფრო იქნება დაახლოებული წიგნთან“, — განაცხადა თბილისის მერის მოადგილე, ანდრია ბასილაიამ.

„აღნიშნული გამოფენა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ საქართველოს მრავალსაუკუნოვანი მწერლობა ნამდვილად გახლავთ მსოფლიო კულტურის მონაპოვარი, მისი რაც შეიძლება მეტი ადამიანისთვის გაცნობა კი ჩვენი ვალდებულებაა. თბილისის მერიისა და იუნესკოს პროექტის „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქი“ ფარგლებში, დაგეგმილია არაერთი ღონისძიება, მსოფლიოს თანამედროვე ქართულ მწერლობასაც, რომ გააცნობს, საგამომცემლო სფერო კი უფრო განვითარდება“, — ამბობს იუნესკოს პროექტ „თბილისი — წიგნის მსოფლიო დედაქალაქის“ დირექტორი, **ნინია მაჭარაშვილი.**

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, გამოფენის პირველი ნაწილი წარმოაჩენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებს, როგორც ქართული წიგნის ისტორიის სათავეს. მათ შორისაა: პირველი წერილობითი ფრაგმენტები (V-VIII საუკუნეების პალიმფსესტები), პირველი თარგმანები, ლიტერატურული თხზულებები, მედიცინის, იურისპრუდენციის, ასტროლოგიის, ქიმიის, ფიზიკის, გეოგრაფია-კარტოგრაფიისა თუ ენციკლოპედიური ხასიათის ნააზრევის ამსახველი უნიკალური ხელნაწერები. გამოფენის ამ ნაწილში, ასევე, წარმოდგენილი იქნება ზომითა და ფორმით გამორჩეული ხელნაწერი წიგნებიც.

თბილისის მერიის ინფორმაციით, გამოფენის მეორე ნაწილი — **„შეხვედრა კლასიკოსებთან — ავტოგრაფების სამყაროში“** წარმოგვიდგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციებში დაცულ კლასიკური ნაწარმოებების ავტოგრაფებს. მათ შორისაა: იოანე შავთელის, ჩახრუხაძის, მოსე ხონელის, თეიმურაზ I, არჩილის, თეიმურაზ II, სულხან-საბა ორბელიანის, ბესიკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, დავით გურამიშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველასა და გრიგოლ რობაქიძის ნაწარმოებების ხელნაწერები. გამოფენის ფარგლებში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო აქტივობები და ონლაინექსკურსიაც.



ᲣᲤᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲚᲐ ᲘᲔᲠᲣᲡᲐᲚᲘᲛᲨᲘ

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲖᲝᲑᲐᲡ

25 Ა�პᲠᲘᲚᲡ **საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ზეიმობს მაცხოვრის იერუსალიმში დიდებით შესვლას, რასაც ქრისტიანები ბაიაობას ანუ ბზობას უწოდებენ. ეს არის დღესასწაული, რომელიც ყოველთვის ემთხვევა ბრწყინვალე აღდგომის წინა კვირას.**

...ცნობილია, რომ მაცხოვრის შესვლა იერუსალიმში ძლევამოსილი მეფის სატახტო ქალაქში შესვლას ჰგავდა. იერუსალიმისკენ დიდებით მიმავალს, ხალხი სამოსელს უფენდა გზაზე, ზოგს კი პალმის რტოები ეკავა ხელში და ასე ეგებებოდა მაცხოვარს — ყოველი მხრიდან ისმოდა ღაღადისი: „ოსანა ძესა დავითისასა კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა! ოსანა, რომელი ხარ მაღალთა შინა!“

აღსანიშნავია ისიც, რომ ღმერთი თითოეულ ჩვენგანს სთხოვს, სულიერად შეეგებოს მას, სამოსლის ნაცვლად გული გაუფინოს კვიცზე მჯდომ მეუფეს, მხურვალე ლოცვა და თაყვანისცემა კი — ბზის ტოტებით მიართვას და ისე მიიღოს უფალი საკუთარ სახლში, როგორც იერუსალიმში.

...იერუსალიმში დიდებით შესვლით უფალმა მორწმუნეებს სიყვარულის გამომჟღავნების საშუალება მისცა, ხოლო მტრებს — მისი შეცნობისა და სინანულად მოქცევისა.

მაცხოვარი შებრძანდა ტაძარში და ვითარცა პატრონმან განდევნა მოვაჭრენი უჯეროდ მოქმედნი...

შიგნით მოგროვდნენ ფარისეველნი და მწიგნობარნი... და კითხულობდნენ, რა უფლებით და რა ძალით იქცეოდა ასე. მან კი მიუგო, რომ თვით მამამან მისმან მისცა მას ეს ძალა, შევიდა იერუსალიმში, ვითარცა მეუფე სატახტა ქალაქში, მაცხოვარი.

...ლაზარეს შაბათი კი — 24 აპრილი — არის წინასახე მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომისა.

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲘᲐ

28 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲜᲔᲨᲢᲔᲑᲘ ᲝᲯᲐᲮᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲨᲔᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡᲐ და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ძალისხმევით, 1992-1993 წლებში, აფხაზეთის შეიარაღებული კონფლიქტის დროს დაღუპული 13 იდენტიფიცირებული პირი, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების 6 მონაწილის ცხედრები, 28 წლის შემდეგ, ოჯახებს დაუბრუნდა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის ველზე დაცემული მეომრები არიან: **ზიგურდი მურუსიძე, ლევან ფუხაშვილი, თამაზ ტატდაევი-ჩოხელი, ჯენერი კირთაძე, მიზდონ გაზდელიანი, ლევან მემანიშვილი.**

დღეს 23 აპრილს, ნეშტებს, სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენებენ, ხოლო 24 აპრილს, 14:00 საათზე მოხდება მათი გამოსვენება.

ოჯახების სურვილის გათვალისწინებით, ნეშტების დაკრძალვა, სხვადასხვა ლოკაციებზეა დაგეგმილი. 4 იდენტიფიცირებული მებრძოლის — ზიგურდი მურუსიძის, ლევან ფუხაშვილის, თამაზ ტატდაევის და ჯენერი კირთაძის სამხედრო პატივით დაკრძალვის ცერემონია გაიმართება 24 აპრილს, 15:00 საათზე დიღმის ძმათა სასაფლაოზე; ოჯახების სურვილით, ორ მებრძოლს — მიზდონ გაზდელიანს სამგორის რაიონში, წინუბანში, ხოლო ლევან მემანიშვილს ბოლნისში დაკრძალავენ.



ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲐᲠᲘᲐ

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს დედოფალი ელისაბედ მეორე 95 წლის გახდა. პირველად, 69-წლიანი მმართველობის განმავლობაში, დედოფალი თავის დაბადების დღეს, საყვარელი მეუღლის, პრინცი ფილიპის გარეშე შეხვდება. 73-წლიანი ქორწინების შემდეგ, ელისაბედ II პრინც ფილიპს გასულ კვირას გამოეთხოვა. ედინბურგის ჰერცოგი 9 აპრილს 99 წლისა გარდაიცვალა.

დედოფალი 95-ე დაბადების დღეს უინძორის ციხე-სიმაგრეში შეხვდება, სადაც მას სამეფო ოჯახის რამდენიმე წევრი შეუერთდება. მონარქის დაბადების დღესთან დაკავშირებით, ოფიციალური ფოტო არ გამოქვეყნდება, რადგან პრინც ფილიპის გარდაცვალების გამო, სამეფო ოჯახი ჯერ კიდევ გლოვობს.

დედოფალი ნამდვილ დაბადების დღეს, 21 აპრილს ოჯახურ წრეში ზეიმობს. მეორე დაბადების დღის თარიღი კი ტრადიციულად ივნისის მეორე შაბათს აღინიშნება. წელიწადში მონარქების დაბადების დღის ორჯერ აღნიშვნას საფუძველი 1748 წელს ჩაეყარა. მაშინდელმა მეფემ ედუარდ მეშვიდემ ტახტზე ასვლისას დაბადების დღის თარიღი შეცვალა, მონარქი 9 ნოემბერს დაიბადა, რადგან ამ დროს ბრიტანეთში საკმაოდ ცივა, გადაწყვიტა ოფიციალური ზეიმი ზაფხულისთვის გადაედო. მას შემდეგ ამ დღეს შენობებზე აღიმართება სახელმწიფო დროშები, ქუჩები კი ყვავილებით ირთვება. ეს დღე ქვეყანაში უქმე დღედ არის გამოცხადებული.

„FORBES“ - ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲔᲠᲗᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲚᲝᲛᲗᲐᲫᲔ მეორე ქართველი ადამიანია, რომელიც „Forbes“ მილიარდელთა სიაში შევიდა. ახალგაზრდა ბიზნესმენი ამჟამად ყაზახეთში მოღვაწეობს. ის და მისი პარტნიორი ვიაჩესლავ კიმი მილიარდერები კომპანია „Kaspi“-ის აქციების ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსების შედეგად გახდნენ.

„Kaspi“-საგადასახადო და ფინანსური ტექნოლოგიების ყველაზე დიდი კომპანიაა ყაზეხეთში. მას ყოველთვიურად 7 მილიონზე მეტი მომხმარებელი ჰყავს. მიხეილ ლომთაძე 1975 წელს ბათუმში დაიბადა, თბილისის მენეჯმენტის ევროპული სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ჰარვარდის ბიზნესკოლაში განაგრძო. „Forbes“-ის მილიარდერთა სიაში ამჟამად სულ ორი ქართველია — ბიძინა ივანიშვილი მე-600 ადგილზე 4.8 მილიარდი დოლარით, მიხეილ ლომთაძე კი 813-ზე — 3.8 4 მილიარდით.

ᲒᲐᲛᲝᲐᲕᲚᲘᲜᲔᲡ „ᲤᲐᲘᲖᲔᲠᲘᲡ“ ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲥᲪᲘᲜᲔᲑᲘ



ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲐᲡᲐ და პოლონეთში „ფაიზერის“ ყალბი ვაქცინები გამოავლინეს, ამის შესახებ ინფორმაციას „უოლ სთრით ჯორნალი“ ავრცელებს. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც შავ ბაზარზე „ფაიზერისა“ და „ბიოენტექის“ მიერ წარმოებული ვაქცინის ფალსიფიცირებული ვარიანტი აღმოჩნდა. მექსიკის პოლიციამ ჯერ კიდევ თებერვალში დააკავა ექვსი ადამიანი, რომლებიც იმ კლინიკაში მუშაობდნენ, სადაც ვაქცინაცია მიმდინარეობდა. ყალბი ვაქცინის ამპულაში ჩვეულებრივი გამოხდილი წყალი აღმოჩნდა. ასეთი ფალსიფიცირებული ვაქცინის ღირებულება შავ ბაზარზე 1000 დოლარი იყო. ყალბი ვაქცინა 80 ადამიანს გაუკეთეს.

პოლონეთში იანვარში აღმოჩენილ ფალსიფიცირებულ ვაქცინაში კი, სავარაუდოდ ნაოჭების საწინააღმდეგო ხსნარი იყო ჩასხმული. ყალბი ვაქცინა კერძო პირის სახლიდან ამოიღეს. მას ბრალად ვაქცინის ფალსიფიცირება და მათი გაყიდვის მცდელობა წაუყენეს. ექსპერტები მოუწოდებენ მოქალაქეებს, თავი შეიკავონ ვაქცინების შავ ბაზარზე ან ინტერნეტში შეძენისგან, რადგან „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინის შეძენა მხოლოდ მთავრობებს შეუძლიათ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48
ᲢᲔᲚ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
ე. ბაღდავაძის №3
ᲙᲝᲚᲝᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲧᲐᲓᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 26 Ა�პᲠᲘᲚᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.4521; ᲔᲕᲠᲝ - 4.1442;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.8081;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 4.5132; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.4258;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 2.0287;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6147.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 23 ᲐᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +7, ᲓᲦᲔ +23
ᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +4, ᲓᲦᲔ +21
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ +5, ᲓᲦᲔ +22
ᲛᲝᲜᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ +3, ᲓᲦᲔ +20
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +10, ᲓᲦᲔ +22

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge